

ՕՐԵՆՍՏԱԴԻ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



# ԿԱՌԱՎԱՐԱ

ԱՐԵՎԱԿԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

1917



№ № VI & VII.

ՅՈՒՆԻՎԵՐՏԻՏՅԱՆ



# බජ්‍යාච්චි පුද්ගල

මායාරූපෙනු සංඛ්‍යා මායාරූපෙනු සංඛ්‍යා මායාරූපෙනු සංඛ්‍යා

වැඩෑප්‍රාග්ධන පොදු ප්‍රතිඵල.

No. No. 6, 7.


1917 F.

සෞද්‍ය අංශය



## შინაარსი

I—სურათი .....	1
II—ვარდის ცაქმლები,—ლექსი დ. კლასზიშვილისა.....	3
III—მოვალ დედილო,—დ. ძებაშვილის....	5
IV—გაზაფხული,—ლექსი ა. სიხარულიძისა.....	28
V—უქნარას ზლაპარი, — კლენი კლაშვილისა.....	29
VI—სიცოცხლე,—ცალფეხა გ. ღომთათაძესა .....	37
VII—შავ ტუანეტის შვილობილი,—მოთხრობა ჯემისონისა, (შემდეგი) თარგმანი დათვეთ ანთაძისა.....	42
VIII—ძველი რუსეთი და რევოლუცია,—ვ. კოტეტიშვილისა 71	
IX—გასართობი: —როგორ გავზარდოთ ვეება გოგრა და ახსნა .....	77



## კარდის ცრემლები



აზაფესულის დილა იყო,  
ცა ლაშაზად კრიალებდა;  
მის სივრცეში ან ცი ჩიტი  
დასცურავდა, ტრიალებდა.

ბალი ტურფად მორთულიყო,  
სამურად შრიალებდა;  
მის მახლობლად გიერ წყარი,  
მოჰქმოდა და ჩქრიალებდა.

იქვე იდგა ნორჩი ბუჩქი,  
შიგ ვარტს თავი დაეხარა;  
გულზე სევდა მოსწოლოდა,  
ცრემლი ბლობად დაელფარა,

ქვითინებდა:—ოჳ, განგებავ,  
შემიბრალე, უბედური!..  
რით შეგუოდე, რომ გამწირე,  
არა მხოდავ, სულ შემდური.


ମେଘ ମନଦା ରାମ ବିଷଣୁଗର୍ବନ୍ଧେନ,  
ତାର୍ଯ୍ୟାନୁପନ୍ଥ ସବ୍ରିଷ୍ଟ ମନ୍ଦିର;  
ଶ୍ରୀଵସ୍ତୁର୍ବନ୍ଧୁଦେବ ରା ଶ୍ରୀବେଶର୍ବନ୍ଧୁଦେବ  
ଶାଶ୍ଵତଶୂଳିନ ନାତେଲ ଫଳେନ...


ମାଗରାମ... ବିପ୍ର, ଅଧିକାରୀ ଏ,  
କିମ୍ବାରା ମନ୍ଦିର, ବ୍ୟାଲ୍କ ଚାମାରାନ୍ତି  
ପରିରାଜ୍ୟଲ ଶ୍ରୀନିଃ ଗାଢାମିତ୍ୟେବ,  
କିମ୍ବିନ ତାର୍ଯ୍ୟାନ୍ତି ଉତ୍ସନ୍ମାନ ରାନ୍ତି.

ଗର୍ଭତିଳ ଶ୍ରୀତିଳ ସାମିଲିଟର୍ଗାନ,  
ଶାମିଲିର୍ବ୍ୟାପ୍ରେକ୍ଷନ ବିପ୍ରପ୍ରକଳ୍ପନା;  
ଲାଙ୍ଘଶ୍ରୀନିଃ ରା ଗାଢାମିତ୍ୟେବ,  
ଶ୍ରୀଦ ଚାମାଯାରିନ ପ୍ରେତିତ ମର୍ତ୍ତଵ୍ୟାଳିନ.

ନେତ୍ରାୟ, ରାଜ୍ୟରେଣୁନି! ଓଡ଼ି, ଗାନ୍ଧେଷ୍ଠାୟ,  
ଶ୍ରେମିନ୍ଦରାଲ୍ୟ ପ୍ରଦେଶରି;  
ରାଜ୍ୟ ଶ୍ରୀପାନ୍ଦ୍ରେ, ରାମ ଶାମିତ୍ୟନ୍ତ୍ରେ,  
ଏହା ମନୋଦୀପ, ଶୁଣ ମେମଦୁରି...

ଡ. କ୍ରିଷ୍ଣାର୍ଥାଶ୍ରୀମଦ୍ଦାତ୍ତିବ୍ୟାଳି





## მოვალ, დედილო!

I



თელი დღე ის ქალაქის ქუჩებში  
უმიზნოდ დადიოდა. ჯერ ვერ გა-  
დაეწყვიტა: წისულიყო სოფელში,  
თუ კიდევ ეძებნა აღვილი. დილის  
რომ აღვილიდან დაითხოვეს, რამდენსამე შელაშიაში იკითხა:  
შორბედი ხომ არ გინდათო. ვაჭრები ახედ - დახედავდნენ,  
შეამჩნევდნენ მის აბურმცნულ თმას, უსიცოცხლო თვალებს,  
მძიმე მიხერა-მოხერას და დამცირავი ლიმილით ისტუმრებდნენ:  
ჩვენ შენისთანა ღაფალი\*) ბიჭი არ გამოგვადგებო.

გუნებაში იგი თავის თავს ამტკუნებდა, რომ სამსახურის  
დროს ვერ გამოიჩინა საკმაო სიფხიზლე და გულმოდგინება.

\*) საქეთე გულ-აურუებული, ზანტი.



როცა შეს საღმე საქმეზე გაპეტავნილენ, ყოველ სიმღერის თუ მუსიკის ხმაზე გაჩერდებოდა და, სმენად გადაქცეულს, აერწყდებოდა დანაეალები. აღა ხშირად ლანძღავდა, როცა, საღმე ყურ-მოკრულ კილოს ლილინით გართულს მისი დაძახნა არ ეშოდდა. ამას ახია მასზე, რომ ქუჩაში გაუძახეს!

საღამომ მოაწია. მუხლებმა კინ კალი დაუწყო, გულმა— რევა. თვალებს ლანდი გადაეფართ. ქვაფენილის პირის მდგარ ალვის ხეს მიეყუდა. პირდაპირ გასტრონომიული მაღაზია იყო. შემწვარ გოჭისა და ძეხვების დანახვაზე პირს წყალი მოუკიდა. მოგონდა, რომ დღეს ნაწილი არ უნახავს.

დილის ჯერ კიდევ საუზმის წინ გაატანეს მუშტართან წინა საღამოს მიყიდული კურპელი კალათით. ცხენოსანი ჯარი მუსიკით ქალაქის გარედ სამეცადინოდ მიღიოდა. გიორგი მუსიკის ხმამ. ჯარს იედევნა. იაგორა ძალიან უჯავრდება დაგვიანებისთვის. ხშირად უსაყველურებს ზარმაცობას და დათხოვნით ემუქრება. თავადაც უნდა, რომ საქმეზე გული დაამყაროს, მაგრამ რა ქნას: გაიგონებს თუ არა მუსიკის ხმას, რაღაც უხილავი ძალა იზიდავს მისკენ.

ძალიან აღვილად იხსომებს კილოებს, მაგრამ ეს ცოტა ძნელია. უჰ, რამდენი ხმა არის ერთმანეთთან შემწყობილი! არა, უხილულ უნდა დაიხსოვნოს ეს კილოც. წინადაც ბევრ-ჯერ მოუსმენია სამხედრო მუსიკა, მაგრამ მაშინ თავისუფალი ყოფილია: ხელში არაფერი სკერია. ახლა კი... ოჰ, ეს ოხერი კალათა რა მძიმეა! ჯარი კი მარდად მიდის. სირბილი უხდება, რომ არ ჩამორჩეს.

თავადაც ვერ გაიგო, როგორ გაიშხლართა და დაამსხერია კურპელი ქვაფენილზე. კიდევ კარგი, რომ ვიღაცამ ხელი დასტაცა და წამოაყენა, თორებ აფიცერი მის ცხენით შესდგებოდა. მის მაგიერ ცხენშა კალათას ჩასცა ფეხი. კალათა მაინც მთელი მიეტანა პატრონთან!

გაქცევა დაპირა, მაგრამ საღ? სოფელში მამინაცეალი სახრით დახვდებოდა. არა, იქნება ისევ აღამ შეიბრალოს, დასჯით დაკმიაყოილდეს და არ დაითხოვოს!



იაგორაშ ქურქელის დამტვრევა რომ გაიგო, რამდენიმდე წაარტყა კისერში და კინწის კერით გამოაგდო: შენგან ზარალის შეტი არაფერი მინახავს, წაეთრიე აქედან, თვალით აღარ დამენახოვო. მაინც შედარებით მან უფრო გულკეთილობა გამოიჩინა: მამინაცვალი ამაზე ბევრით მცირე დანაშაულზე სახრით გველივით აუქრელებდა ზურგს!..

ხეზე მიყუდებულს უკანიდან ვილაცა მიეპარა, მხრებში ხელი დასტაცა და დუწყო ნჯლრევა. მას ხელში გაյრიალებული წულები უჭირავს. ოჯ, ეს იაგორას პირდაპირ რომ მექექმევა, იმისი შევიტდია! თომა მასზე ბევრით პატარაა, მაგრამ მკეირცხლია და ლონიერი. წინადაც ბევრჯერ იცოდა გიორგის ჯაჯგური და წვალება: თავი მოაქვს, რომ მასზე ყოჩიალია. აღლა ხომ სიშილის გამო წინააღმდეგობის გაწევა სულ არ შეუძლია.

შეიყარნენ ბიქები, მოხსლეები, მზარეულები. იცინიან: უკვირთ პატარას სიყოჩალე და დიდის უილაჯობა. გული ყელში მოებჯინა, თვალებზე ურემლები მოადგა... ერთი ჩასუქებული მზარეული დედაკაცი სწელა მექექმეს შევირდს სქელი და კარწახებული ხელებით საკინძეში და ისე მძლავრად გაისროლა გვერდზე, რომ ბზრიალისავით შემოტრიალდა და წულები ხელიდან გავევრდა.

— ამამზადავ, რას გერჩის ეს ბაეშვი, რომ დაიჩოთირე? \*)

თომამ წულებს ხელი დასტაცა და მოპურტხლა. გიორგიმ თავის მხსნელს მაღლობის თვალი გააყოლა. ხილხი დაიშალა.

მინედ-მოიხედა. უკვე შელამებულიყო. განიერი ქუჩა ელექტრონის ფანრებით იყო განათევბული. მაღაზიიდან სხვა-და-სხვა საჭმელები სინათლეზე უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდნენ. კინელავდა. ნიავე დაუბერა და წვიმის ცერების თოვლის ფიფქებიც შეურია. ბაეშვი გააერეოლა. კუჭა წვა დაუწყო. ქუთუთოები დაუშძიმდა. მუხლები მყენებოდა.

\*) დაჩოთირება—ღაბრიყვება, სუსტის წყენა.

მახლობელ ეზოდან შეეზოვე გამოვიდა ჯონით და მის ზურგ-შექცევით გაწერდა.

— იქნება ეზოში მშრალი ადგილი ვიპოვნო და მივწვე! — ვიფიქრა ბავშვმა.

შეეზოვე ვიღაცას გამოცლაპარაკა. ბავშვმა იდროვა და ეზოში შეემჩნევლად შევიდა. კიბის ქვეშ ოთანიერი რაღაც იყო მოქოხებული. ცალ მხარეს შეზა ეწყო, მეორე მხარეს თივა იყო დაგებული. მოცელილ ბალახიერით მიწვა მასზე.

შესავალთან ვიღაცა მოდგა. ბავშვი წამოდგა და დააცერდა. თავის წინ ბნელაში ვეებერთელა მეძებარი გაარჩია. შეშინებული წამოხტა და გარედ გამოვარდა. ძალლში შეჰყეფა და განზე გახტა. ბავშვმა გაქცევა დააპირა, მაგრამ მოაგონდა, რომ ძალი გაქცეულს უფრო გაანჩხლებული ყეფით გამოეკიდება. გაჩერდა. მეძებარი მიუახლოვდა და დაჰყნოსა, მერე დაუწყო ხელების ლოკა. გული დაუმშევიდა. ისევ კიბის ქვეშ შევიდა და თივაზე მიეგდო. მეძებარი მას გვერდზე მიუწვა.

ძილი გაუკრთა. ყველა ასო სტკიოდა, უფრო კი კუჭი. პურის სუნი მიუვიდა. ვმ, აქ პურს რა უნდა? აშეარაა, — მოეჩენა! ერთ ადგილის თივა იყო იმობერილი და ფერდა სტკენდა. ქვის გამოსალებად თივის ქვეშ ხელი შეჰყო...

აი, თურმე საიდან მოსდიოდა პურის სუნი! ალბად მეძებარს გადარჩა და დამალა. მაღინად ჭამა დაუწყო. მხოლოდ რამდენიმე ლუკმის შემდეგ მოაგონდა, რომ პურის ნატეხი მტვერშია იმოგანგლული და გასუფთავება უნდა. მალე ყბები დაელალა და მძიმე-მძიმედ მოჰყვა ლოლნას. ჩაუყლაპავი ლუკ-მით იგი პურანში გაეხვია, რომელიც მალე ლრმა ძილმა შესცვალა.

თეთრად იყო გათენებული, როცა გამოელვიძა. გაბეჩებულმა დაუწყო თვალიერება თავის ბინას: გონს ვერ მოსულიყო, საიდან იმოჰყო აქ თავი. მძინარე მეძებარში წმუკუნი და კუდის ქნევა დაიწყო: ალბად სიზმარს ხედავდა. მის და-

ნახვაზე ყველაფერი გაახსენდა. ქმაყოფილი დარჩა, რომ დროულ  
გამოეცვით. ცოტაც რომ დაეგვიანა, სახლში მცხოვრებნი  
გაიღვიძებდნენ და აურ-ზაურს ასტებდნენ. იქნება ეცემათ  
კიდეც!

თვალები მოიფშნიტა, ტანისამოსიდან ჩალა-ბულა ჩა-  
მოიძერტყა და გაემართა ალაყაფის კარებისაკენ. იქ ქვაზე  
ჩამომჯდარ მეტოვეს ლრმად ჩასძინებოდა. მრეს გამოსვლა  
მხოლოდ მეძებარმა გაიგო, რომელმაც თავისი მოულოდნელი  
მდგმური ლაქუცითა და ხელების ლოკვით გააცილა...

ამ დღესაც ბევრგან იკითხა ადგილი. ყველგან უარი  
შიილო. ზოგი პასუხის ლირსადაც არა ჰქონდა. ლუდის ერთ  
ქარხანაში ნოქარი სხვაზე გულკეთილი აღმოჩნდა:

— წერა-კითხვა იცი? — შეეკითხა ის ბავშვს, როცა მან  
ადგილი ითხოვა.

— დიახ, ვიცი!

— ციფრები?

— ციფრებიც!

— ნოქარმა მას ხელში კალამი მისცა და ქალალდის ნა-  
კერზე რამდენიმე რიცხვი დააწერინა. გიორგიმ გამოცდა რი-  
გიანად დიჭირა.

— მუშტარი ყოველ დღე სამ-ოთხ ათასს ცარიელ ბოთლის  
აბრუნებს. შენ თვლით უნდა ჩაიბარო და წიგნაკში ჩაიწერო,  
ვისგან რამდენი მიიღო. გარდა ამისა ქარხანა, ეზო და კანტორა  
უნდა ჰგავო. შეგიძლია ყველა ეს?

— დიახ, ყველაფერი შემიძლია!

ბავშვს გულში ნათელი ჩაუდგა: ახლა კი ღმერთმა გად-  
მოხედა და ისევ ადგილში ჩადგა. ამას იქით ეცდება, რომ  
ყოჩალად მოიქცეს და ალის მაღლობა დაიმსახუროს.

ქარხნის პატრონი შემოვიდა და ლაპარაკში ჩაერია.

— წინად სად იმსახურე? — შეეკითხა ის.

— იაგორ ზოგვეძის კურპელის მაღაზიაში.

— რად გამოხველ იქიდან?

გორგოშ გულ-ახდილად უაშბო მიზეზი ადგილიდან და-  
თხოვნისა.

— წალი, შეილო, წალი: ორც ჩვენა გვაქვს შენი სამრე-  
რევი ბოთლები!

იმედებს ცივი წყალი გადაესხა. გულ-ამომჯდარი გარედ  
გამოვიდა და განაგრძო გზა,— თავიდაც ორ იცის საით ან რის-  
თვის.

ეს დღეც შშიერმა დააღმამა. ბევრჯერ დააპირა სამწყა-  
ლოდ ხელის გაშვერა, მაგრამ ვერ გაბედა. ბოლოს ერთ  
ფურნესთან გაჩერდა და, ყელში ბოლმა-მოწოლილმა, მაღიან,  
დაბრანწულ ფუნთუშებს შეერა დაუწყო.

ძეირთასად ჩატულმა ქალ-ვაჟმა ეტლით გვერდზე ჩაუარა. ქალს ხელიდან მშეენიერი თაიგული გაუვარდა და ბაგშეის  
ახლო დაეცა. მან ხელი დასტაცა, შეუბერა, მტვერი მოარიდა  
და პატრონს მიურბენინა. ყმაწვილმა საჩუქრად მას ხელში  
უზალთუნი ჩაუდო.

დანაყრებულმა შებინდებისას ისევ გუშინდალ ბინას  
მიატანა.

## II

მესამე დღეს ადგილი აღარ უკითხავს: იმედი დაკარგა, რომ წაეიდოდა სოფელში იქ, რაც ვინდა იყოს, შშიერი მაინც  
არ დარჩება. დაცინვა, წვალება, ცემა იქაც ბევრი გამოუკ-  
ლია, მაგრამ სიამოვნებაც ბევრი ახსოვს...

ხეტიალის დროს შემთხვევეთ საკრებულო ტაძრის გვერდ-  
ზე გაიარა. იქიდან გალობის ხმა მოისმოდა. წელიწადზე მე-  
ტია, რაც ის ქალაქში ჩამოეიდა, მაგრამ ჯერ იქაურ ტკლუ-  
სიაში არ შესულია. მას კვირა-უქმითაც მოცულ არ ჰქონდა,—  
იაგორა სიხლში იმსახურებდა: წყალს უზიდავდა, შეშის უკ-

რიდა, უგვიდა, ცეცხლს უნთებდა და სხევ. მაღაზიაში უფრო  
მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა.

ტაძარში მორთული ხალხი შედის. მასიც უნდა შევი-  
დეს, მაგრამ არ იცის, შეუშევებენ თუ არა ასეთ დამრანძულს.  
კარებთან მათხოვრები დგანან. სიან—იქ შეიძლება გაქრებები.  
ახლო მივიდა. ტაძარი მლოცველებით გაჭედილი იყო. ხა-  
კურთხევლის კანკელი არა ჩანდა. სოფელში უმთავრესად  
კანკელით არჩევდა საყდარს უბრალო სახლიდან. აქ კი—დი-  
დება შენთვის, ღმერთო!—მთელი კედლები მოოქროვილ-მო-  
ხატული! მთავარ-დიაკვანი ამაღლებულ აღვილზე ხმა-მალლა  
რალაციას კითხულობს. ხალხი მდუშარედ უსმენს.

— დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! —ხმაშეწყო-  
ბილად დაიგუგუნა სადღაც მაღლა მგალობელთა გუნდმა.  
გიორგის ქრუანტელში დაუარა: თავის დღეში ასეთი გალობა  
არ მოუშენია. თავი სამოთხეში ჰგონია,—ამისთანა გალობა  
ხმა მარტო ანგელოზებს შეუძლიათ!

ცოტა წინ წალგა. იყურება მაღლა გუმბათზე. იქ მამა  
ღმერთია გამოხატული; გარშემო ანგელოზები შემოხვევიან.  
იღბად იქიდან მოისმეს გალობის ხმა! გული გაუთბა, თავი  
გაუბრუედა, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის.

ერთმა ლეთის-მოსავემა ბებქერმა ხელში რალაც ჩაუდო.  
შეჭყურებს მას გაშტერებული და არ იცის—რა უნდა მისგან  
ბებერს. ხალხი მძიმე-მძიმედ გამოდის ეკლესიიდან. გალობის  
ხმა მისწყდა. დაპხედა თავის მომუშულ ხელს. გაშალა. შე  
შაურიანი იდო. პო, აღბად დედაბერმა გლახაკად მიიღო  
და მოწყვალება მისცა. შეხედა მაღლა გუმბათს. ანგელოზები  
ისევ ეხვევეთან უფალს, მაგრამ იქიდან გალობის ხმა აღარ  
მოისმის.

— რა პირი დაგილია: აი ცოცხი, და დაგვას მიშველე! —  
ეუბნება მას მნათე:—სეფისკეტს მოგცემ!

გამოართვა ცოცხი, თაბახით მდგარ წყალში დაასველა  
და დაწყო ეკლესიის დაგვა. მნათე საკურთხეველში შევიდა

შისალაგებლიად. ბავშვი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა: ჰევის, მაგრამ აზრები სადღაც ფრინიავენ. ყურებში ისევ ინგელოზთა გალობა ესმის.

ყოჩილ, კარგი დაგვა გცოდნია! — უთხრა საკურთხევლი-ლან გამოსულმა მნათებმ.

თვალი გადაავლო ეკლესიის იატაქს. ატყობს, რომ მართლა სანაქებოდ არის დაგვილი. უკვირს: თითქოს იგი სულაც არა ცდილი! ან როგორ მოსწრო ერთ წუთში ამოდენა ტაძ-რის დაგვა? იქნება მას ვინმე შველოდა და ფიქრებში გარ-თულმა ვერ შეამჩნია!

— აპა სეფისკვერი! ხეალაც მოდი და მიშველე. სადა გაქვს ბინა?

გიორგიმ უამბო, რომ ადგილიდან დითხოვნის შემდეგ ის უსაქმოდ და უბინაოდ დარჩა. მნათებ მას ბინაც რაღაც ჩირდახი მოუჩინა, სადაც ეკლესიისთვის შეშა, ნახშირი, ზე-თის ჭირჭელი, დამტვრეული კანდლები, ძველი საცეცხლუ-რები და ოთასი სხვა ხარა-ხურა ეწყო.

ბავშვი თავს ბედნიერად გრძნობდა: ყოველ დღე გალო-ბის მოსმენა, პური და ბინა. მას მეტიც არ უნდოდა.

გაეიდა რამდენიმე თვე. იძლა მან უკვე იცის, საიდანაც მოისმის გალობის ხმა. ჩეკულებრივი იდამინები გალობენ. ბავშვებიც ურევინ, რომელთაგან რამდენიმე მასზე პატარაა. კარგა ხანი გაეიდა, სანამ საგალობელთა კილოებს დაიხსო-მებდა. პირველში უკველა ერთმანეთში ერეოდა და სისწორით ერთსაც ვერ იტყოდა.

ეკლესიის ეზოში მგალობელთ ერთი ოთახი პქონდათ მიწერილი, სადაც ისინი წირვის წინ და ზოგჯერ სიღამოთიც იკრიბებოდნენ და, ერთი ულვაშებ-დაწყებილი კაცის ხელ-მძღვანელობით, გალობაში ვარჯიშობდნენ. იმ დროს გიორგი მიჯდებოდა სადმე კუნძულში და თავდაეიწყებით უურს უგ-დებდა გალობას.

ერთხელ ლოტბარი „შენ გიგალობთ“-ს ახალ კილოზე ასწავლიდა. მგალობელნი ნოტებში იყურებოდნენ. ლოტბარი რიგ-რიგით მივიღოდა სხვა-და-სხვა ხმებთან და მგალობელთ ჭიანურის დაკვრით ასწავლიდა კილოს. მოძახილებს ძალიან გაუქნელდათ. სანამ ჭიანურის ხმა ესმოდათ, მას ასდევდნენ; შესწავლიავდა თუ არა ლოტბარი დაკვრას, და ისინიც აპ-რევლენენ. ინ, დაიწყეს კიდევ თავიდან უქიანურობა. მიუახლოედნენ მნელ ადგილს. მგალობელთა ხმა თანდათან სუსტ-დება: არ არიან დარწმუნებულნი, რომ შესძლებენ სწორედ შესრულებას. ლოტბარს აღელოვება ეტყობა...

უცბად მოძახილოთა ხმა გაძლიერდა, გახავერდოვანდა, და მთელი მუხლი სისწორით იგალობდეს...

ლოტბარმა და მგალობელებმა განციფრებული თვალები კუთხეში მიკუნცულ გიორგის მიაპყრეს. იგი იწითლებული სახით და ოდგზნებულ თვალებით შესტერის ლოტბარს და მოელოდება მისგან ლირსეულ სისჯელს ამისთანა თვეხედობაზე: რა ნება აქვს ვიღაც მაწაწალას, რომ მათ გალობას უშლის?

— ბაგშეო, რატომ აქმდის არ მითხარ, რომ შეგიძლია გალობა! სად გისწავლია შენ ეს კილო! — შეეკითხა ლოტბარი ნელი ხმით, რომელშიც, გიორგისათვის მოულოდნელად, გაჯავრება კი არა, განციფრება, დაუყვავება და კიდევ რაღაც უფრო კარგი გრძნობა გამოიხატებოდა.

— არსად, აქ დაგიგდეთ ყური და დამიხსოვედა!

— სხვა საგალობლებიც იყი რამე?

— დიახ, რასაც თქვენ ეკლესიაში ჰგალობთ, ყველაფერი ვიცი!

ლოტბარმა ის მოძახილებში ჩაიყენა და მთელ გუნდს თავიდან დაწყებინა გალობა. გიორგი წმინდა, დაჯერებული ხმით გალობდა. ცოტა დელავდა, მაგრამ ეს დელვა მის ხმას ხავერდოვან ბგერას ჰმატებდა. მისმა ტკბილმა ხმამ და თავისუფალმა გალობამ ლოტბარი და მგალობელნი გაიტაცა.

ომ დღიდან იგი შგალობელთა გუნდში ჩაირიცხავ მჯდომარევა  
გირად კვირაში მანეთი დაუნიშნეს. ზოგს, ორი-სამი წლის  
შგალობელს, ამაზე ნაკლები ჰქონდა.

პირველში ყველა საგალობლებს სმენით სწავლობდა.  
ლოტბარმა იუსნა ნოტების მნიშვნელობა, მაგრამ ჯერ მას  
კიდევ კვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გამოხატონ ხმები  
უკუდო და კულიანმა რეოლებმა! იგი ყოველთვის ზეპირად  
გალობდა და ნოტებს მხოლოდ იმიტომ ადევნებდა თვალს,  
რომ დალუმებების ნიშნებით გაევო, სად რამდენი ხანი უნდა  
გაჩუმებულიყო.

თავისდა შეუმნიერელად, ოთხითდე წლის განმავლობაში  
ისე შეითვისა ნოტები, რომ სულ იხალ, ჯერ გაუგონარ კი-  
ლოს პირდაპირ ფურცლიდან გალობდა. მისი აზრით, სწო-  
რედ ამისთანა შემთხვევისათვის იყო მოგონილი მუსიკალური  
ნიშნები, თორებ, თუ კი კილოს ყურს მოჰკრავდა, მაშინ  
მისთვის ნოტები რაღა საკირო იყო!

### III

გავიდა ექვსი წელიწადი. ახლა მას უკვე ოც-და-ხუთი  
მანეთი იქნა თვეში. ეს კი ისე ბევრია, რომ მის შეირე  
მოთხოვნილებას სავსებით იქმაყოფილებს და დედისთვისაც  
რჩება 4—5 მანეთი. ისე დახელოვნდა გალობაში, რომ ზოგ-  
ჯერ ლოტბარის მოვალეობას ისრულებს. მისი გალობის მო-  
სამენად სხვა სამრეველოდანაც კი მოდიან მლოცველი. ხში-  
რად კონცერტებშიც იღებს მონაწილეობას.

შეიდი წელიწადია სოფელში იღარი ყოფილი, იღარ  
უნახავს გაშლილი მინდორი, დაბურული ტუკ, კამკამა წყა-  
როები. მოუნდა სამშობლო სოფლის ნახვა, მაგრამ ვისთან  
წიფიდეს? დედა დიდი ხანია სხვა კაცსა ჰყავს ცოლად. მამი-  
ნაცვალი იძენარია და სასტიკი, მისგან ერთი ნათელი დღე  
არ უნახავს.



რა ბედნიერი იყო, სანამ მამა ცოცხალი ჰყავდა? ჭაჭაშ  
ის ჯერ სულ პატარა იყო: ორც სკოლა იცოდა, ორც კალა  
და ორც ნახირი. სიზმარივით ახსოეს, მამა რომ შეისვამდა  
ხოლმე მხარზე და წაიყეანდა ფლეობაში. ყველგან სასურვე-  
ლი სტუმრები იყნენ, რაღაც მამა-შვილის სიმღერის მოსმენა  
ერთ რამედა ლირდა. მამა რომ ზარივით წმინდა ხმაზე პირ-  
ველს შემოსძახებდა და მას 5-6 წლის გიორგი ინგელოზის  
ხმით მეორეს მიაყოლებდა, სოფლელები გარს შემოეხვეოდნენ  
და აღტაცებით უსმენდნენ. უფრო მეტად უყვარდა ხალხს,  
როცა გიორგი სხვა-და-სხვა ფრინველს ან ცხოველს გამოჯავ-  
რებდა.

— აბა, გიორგი, ბულბულიერით დაუსტეინე! — შეეხვეწე-  
ბოდა ვინმე და გიორგიც მოჰყვებოდა ბულბულიერით სტვენა-  
პიკერის. ზედმიწევნით აჯავრებდა ქათმის კაკის, ძროხის  
ბლავილს, ქარის ზუღის და უველას, რასაც კი ყურს მოჰკ-  
რავდა. როცა ის ბაყავივით ცოტა მომსხო ხმით დაიძახებდა:  
“ყვატ, ყვატ!” და მერე გუბის მთელი ოჯახის ხმაზე გააბამ-  
და: “ყუა, ყუა, ყუა!.. გატეტილია, გატეტილია, გატეტი-  
ლია!.. ხალხს სიცილით მუცელი ხელში ეტირა.

— რა ვიცი, რა ვიცი! — იტუოდნენ თავის ქნევით დროუ-  
ლი კაცები: — ღმერთმა კი დღე მისცეს, ხოსო, შენს გიორ-  
გის. მაგრამ ან არ შეგრჩება, ან სულ ერთი ვინმე გამოვა!

ხალხის წინასწარმეტყველება თითქოს უკუდმა შესრულ-  
და. რვე წლისა იყო გიორგი, როცა მამა მოუკედა. შემოდ-  
გომაზე ობოლი გიორგი მორჩიეული კაცების თხოვნით მას-  
წავლებელმა უკენჭოდ მიიღო სასწავლებელში. დედას მისი  
იმედი ჰქონდა, მასზე ამოსდიოდა მხე, მისგან მოელოდა პირ-  
ქვე-მოქცეულ ოჯახის ფეხზე წამოყენებას.

სამწუხაროდ, გიორგი ძალიან უნიქო გამოდგა: ორ-  
ორი წელიწადი იჯდა თითო განყოფილებაში. რის ვაი-ვაგ-  
ლახით მესამემდის მიაღწია. მასწავლებელი იღმუოთებული  
იყო მისი გონება-დაბნეულობით, მაგრამ ებრალებოდა, რო-

გორუ თბოლი, და სასწავლებლიდან არ ითხოვდა, სანამ მისმა ერთმა საქციილმა მოთმინება არ დაიკარგინა.

გაზიაფხულის მზიანი დღე იყო. მასწავლებელი კლასს  
გატაცებით გაიკეთეს უხსნიდა. ჟველიანი სმენად გადაქცეუ-  
ლიყვნენ. იმ დროს სკოლის ბაღში ხეზე მოლალური შემოჯდა  
და დაიძახა: „ბიჭო-გოგი!“ გიორგის მოაგონდა მამისებიან  
გაგონილი ხალხური თქმულება მოლალურზე და გაიტაცა  
ფრეჩმა...

...გოგიასა და ოლას დედინაცვალმა მინდობრში ბატები  
გაატანა საძოვრად. სადოლობისას ბატები რომ უინ მორეკეს,  
ერთი ჭუპული იყლა. დედინაცვალმა სცემა მათ და გარევა  
ისევ მინდობრში: მიპოვნეთ ბატის ჭუპული, თუ არა—თვა-  
ლით არ დამენახოთო. ებებენ გოგია და ოლა დანაკარგს.  
მთელი მინდობრი მოიარეს. მალი-მალ გასძახებს ოლა თავის  
ძმას:—ბიქო, გოგიავ! იპოვნე?—მაგრამ პასუხად ესმის:—ვე-  
რა—ოლავ!

დელინაციის შიშით ვერ გაძევდეს შინ ხელ-უარიელი დაბრუნება და ღმერთის შექნატრებს, რომ ფრინველებად ვქცია. ღმერთმა მათ ნატყად აუსრულა და მოლალურებად ვქცია. მას აქეთ ისინი სულ დაკარგულ ბატეს ჭუპულს ეძებენ... აი, ახლაც, რა გულ-მოსაკლიავად ეძინეს მოლალური თავის ძმას: — ბიჭო-გოგიავ! იპოვნენ? — ჰავრაშ, ალბალ, გოგია საღმე უორს არის და არ ესმის რის ძახილი.

— ბიჭო-გოგია! იპოვნე? — დაიძიხა კადევ სკოლის ფან-ჯარასთან თუთის ხეზე მჯდარშა მოლალურმა.

— ვერა-ოლავ! — გასძინა სტუენით გიორგიმ ისეთი სინამდვილით, ისეთი ნაღველის ჩაქოვებით, რომ მის აშხანა-გებს განციფრებასთან ერთად სახეზე რაღაც გამოურკვეველი სევდა აღებეჭდათ. პატარა ცელქები, რომელთათვისაც სულ მცირე საბაბია საჭირო, რომ ხარხარი ასტეხონ, ახლა სულ-განაბულნი ისბრძენ და გიორგის შეცყურებდნენ.



შასწავლებლის გაკვეთილით გატაცებას ფრთხები მოვალეობა. თუმცა მყულროება არ დარღვეულია, მაგრამ ახლა ძნელი და იყო კლასის გაკვეთილით დაინტერესება.

— დექ, გაეთრიე! — დაუყვირა შასწავლებელმა და ოუტეხა ლოკებზე ლაწა-ლუწი: — მეყო ამდენი მოომენი; თავიდ არაუკრს იყეობდ და სხვებსაც უშელი სწავლას! მოჯამაგირედ მანც დაუდექ ეისმეს: იქნება უფრო მეტი არგო დედასაც და შენს თავსაც!

დედამ რომ გაიგო გიორგის სკოლიდან დათხოვნა, მეორე დღეს წავიდა, ტირილითა და ხეეწით შასწავლებელს თავი შეაბრალა და ისევ მიალებინა. მაგრამ გიორგი ვერ დაიყოლია და ფეხი ველარ გაადგმევინა სკოლაში.

იმ ზაფხულს თიბელაანთ დაუდგა მექალოედ. პირველში აქ უფრო უნარი გამოიჩინა. დილით კი ცოტა აწეალებდნენ ხარები: ეხიმებოდათ კალის გარშემო კევრის თრედა. გიორგი გზირად უნდა ყოფილიყო, რომ ხარები სხვა კევრებს არ დასჯახებოდნენ ან კევრი განზე არ გაერაცნათ. როცა პირ-უტყვინი მიხვდებოდნენ, რომ სახრის ზამპუნის ასაკილებლად წრის გარშემო შემოვლია საჭირო, მაშინ გიორგის მიმარჯვება საჭირო ილარ იყო, და გააბამდა იგი ზარიერით ხმაზე „პორო-ველოს“.

— სულ თავის მამის ხმაზე არ იძახის! — იტყოდა ხოლმე თიბელაანთ ლაზარე. — ცხონებული სოსიასთანა მომლერალი ორი არ გამოეიღოდა ჩვენს მხარეში. აფსუსი არ იყო იმისი სიკვდილი..

სამხრობის დროს, როცა გალეწვას მორჩებოდნენ, გიორგი სხვა მექალოებთან ერთად საქონელს ფშაზე გაპრეკავდა და აბანავებდა. გაგრილებული საქონელი გაიშლებოდა მინდობრზე და, მთელი დღის დამაშერალნი, ბალახს მაღიანად დაუწყებდნენ ძოვნის.

ის კი სადმე ხის ძირის მიჯდებოდა და ახმაურებულ ბუნებას უურს უგდებდა. სულ მცირე ხმაურობაც კი, რომელიც იმის ამხანაგებს იქნება არც კი ესმოდათ, მის მახვილ სმენას და გრძნობიერ გულს ბევრს რასმე ეუბნებოდა.

აი, დაუბერა სიომ და ააშრიილი სიცხისგან შთვლემარე ვერხვის ფოთლები. ნიავი უკვე გასცდა მათ, ახლა სხვა ხეებს შემოევლო გარს და მოუალექსა. ისინი კი ისევ განაგრძობენ ცეკვასა და სიცილს!.. რა უხარისანთ? ოთ, სასიხარულო ძალიან ბევრი აქვთ: მათი სატრუთ ნიავი, რომელიც მთელი დღე სადღაც იყო მიმალული, ახლა ძლიეს გამოჩნდა, ეამბორა მათ და ისევ გაჭრა. უმისოდ ჩთელი დღე მოწყვენილნი იყვნენ, მაგრამ ახლა აღარა ნალვლობენ: იციან, რომ ნიავი მათ ეხუმრება, ვიგჰაეობს,—აბა, ერთი ჩემი ტრუიალნი რას იტყვიანო! როცა ვკრიტი მათ შესამკობად თავის ლექსებს აარაკრაკებს, ვერხვის ფოთლები გაინაბებიან და, სმენად გადაქცეულნი, თეთრად იღიმებიან. ნიავი შეშურდება გვრიტისთვის ვერხვის ფოთლების ლიმილი, დაუბერავს და დაპტუქსებს მათ ღალატისათვის. ფოთლებს ცოტა ხნით კი გადაქრავს სევდის მუქი ფერი, მაგრამ, როცა ნიავი განშორდება და სიცილით ჩახუჩხუჩდება, მიპხვდებიან მის ხუმრიბას და ისევ მოჰყვებიან ცეკვა-სიცილს...

აგერ ფშაში ბაყაყებმა გააბეს თავიანთი დაუსრულებელი სიმღერა და აახმაურეს მიღამო. ცას მუქი ფერი დაედო. მის კაბაღონზე აქა-იქ ამოციმუმდნენ ვარსკელავები.

მიწა მას წირმოდგენილი იქს ბრტყელ უსაზღვრო სიერცედ. მას კარავსავით გადაპუარებია ვარსკელიავებით მოქარე გული ცის გუმბათი, რომელიც იმდენად თხელია და მგრძნობიარე, რომ ბაყაყების მწყობრ ყიყინზე ისიც ძერის ფრთებსავით მწყობრად იჩხევა.

აი, გიორგის ყურადღება მიიპყრო უქნო სალამურის სევდიანმა ღულუნმა. ყველაფრის ხმას ადვილად ჰბაძებს, მხო-

ლოდ სალამურის მიბაძვა ვერ მოუხერხებია. არცა ცდილა: გრძნობს, რომ კარგად ვერ მიამზგავსებს, და ეს ხომ შეურაცყოფა იქნება იმ ციური ხმების, რომელიც მის გულს ასე ესიღუმლოება!

ციური ხმები... დიახ, სწორედ ციური! თუმცა იცის, რომ სალამურის დამკერელი მწყები მისგან ათიოდ ნაბიჯზე რცხილის ლეროზე მიყუდებული, მაგრამ სალამურის ხმა იქიდან კი არ ესმის: აგრე, მთვარისგან შევერცხლილ ოღრონილრო ნაპირებიან ლრუბლის იქით ზის ვიღაც გრძნეული, უბერივს სალამურს და მის კვნესას წყლულთა მომშუშეველ მაღამოდ ჰევენს არეს...

ამისთანა თილისმა მარტო უენო სალამურსა აქვს, რადგან ენიანს ცველაფრის თქმა არ შეუძლია. რამდენი განცდა, აზრი დაჭმადებია მას და, მათი გამოხატვა ენით რომ ვერ მოუხერხებია, ღილინით გამოუთქვაშს. აღმაც, უენო სალამურიც ამისთანა აზრების გამოსათქმელად არის მოგონილი!...

კვირაობით ის საქონელს ჭალაში გარეუავდა ხოლმე საძოვრად. ძალიან უყვარდა ტყის მყუდროება, ნაკადულის რაკრაკი, ბულბულის სტვენი. ტყე მას წარმოდგენილი აქვს მოხუც კაცად, რომელიც ლრმად ჩაუფიქრებია აღამიანთა უსამართლოებას თუ ცხოვრების მათებას. ნაკადული?—ეს ხომ მისი ცელქი შვილიშვილია, რომელიც ცდილობს ლიკლიკით გაართოს თავისი დალრემილი პაპა!

ჩუ! ფრთისანთა მგოსანი ბულბული ჩამალულა კუნლის ჩირგვში და, თვალ-დახუცული, თავის ჰანგებით ეტრუის მიღამოს:

— რა რიც მიყვარხართ, ჩრდილოვანო ჭალავ, რაკრაკ ნაკადულო, პირ-წითელა მარწყვდო, მაგრილებელოსიო! თქვენი სილამაზის შესამკობად ესთხავ ჰანგებს: ჩემი ნაწყვეტ-ნაწყვეტი, — „სუსუ, სუსუ, სუსუ!“ ეს ხომ ტყის გარინდების გამოხატვაა! ჩემი ჭაბჭაბი ხომ ნაკადულის ჩუხჩუხია! პირ-წითელი



მარწყვეტი რომ ფირუზი ცას შესცინებს და მერე მორცხვად მზისკენ მიიხედავს, როგორ გამიძლებს გული, რომ ჩემი აღფრთოვანება „ტია-ტია“-ს ძალით არ გამოვსთქვა? როცა სალამოს სიო ვარდის დამათრობელ სურნელებას მოპოვენს მიდამას, მაშინ მეც ვიჩნიდები და, ბუნების სიყვარულით აღგზნებული, თავ-დავიწყებით ვუსტევ ზეშთაგონებულ ჰანგებს!..

ასე გაიტაცებდა ხოლმე გიორგის ბუნებრს მომხიბრავი სიმშვერიიერე და, მის საიდუმლოებაზე ჩაფიქრებულს, ყველა-ფერი ავიწყდებოდა.

ერთ ამისთანა გატაცების დროს ხარი დაეკარგა. ლაზე-რემ ბევრი სძებნა, მაგრამ ვერას გახდა. დაიწყო მოყითება ახლო-მახლო სოფლებში. ბევრი დრო და ფული დახარჯა. ბოლოს, როგორც იყო, ერთ სოფელში იპოვნა: იქაურ გლე-ბის ნახირს შემრეოდა. საპოვნელა, შესინახი და ძებნაში და-ნახარჯი იმდენი შედგა, რომ გიორგი ჯამაგირიდან ცარიელი დარჩა.

გული გაუტყდა დედას. მთლად დაეკარგა შერლის იმედი. დედა და ერთ შეძლებულ ქვრივ ოჯახიშვილს მისთხოვდა. ვი-ორგის ისედიც არა სახარბიველო ცხოვერება უფრო გაუარესდა: ნახირის მოვლა, ვენახში მუშაობა, ტყესა და მინდორში სია-რული და ყველა ამისთვის ხშირად სახრით ტყეპა. „მე მუქ-თად პურს არავის ვაჭმევო“, — იტყოდა ხოლმე მამინაცეალი თავის გასამართლებლად. ვინ იცის, იქნება არცა ტყუოდა, რადგან გიორგი თავისი გონება-დაბნეულობით ხშირად იფუ-კებდა საქმეს.

## IV

ზაფხულის დამლევს ბათუმის ნავთსაღეურში საშგზაფრო გემ „იმედს“ გაწეარგებით სტეირთავდნენ. ღვინის ბოჭკები, ხილის ყუთები, ცხენები, ბამბის და მატულის ბარდანები და



ათასი სხვა ცალებად შეკრული საქონელი ასრიალდებოდა მალლა ასაწევ მანქანით, მიტრიალდებოდა და ჩეგზეებოდა გემის ფსკერში.

ასევე მრავალგვარი იყო მგზავრთა შემაღვენლობაც: ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, თათრები, ოსმალოები, ერთმანეთში არეულნი, ფუსფუსებდნენ გემის ბაზე, ცდოლობდნენ მოხერხებულ აღგილის დაჭრას, კარგიდ მოწყობას. ბევრს უკვე მოუსწრერია დაბინავება და გაუჩაღებია ჩევულებრივი საქმიანობა: პურის ქამი, ჩიოს სმა, გაზეთის კითხვა, ბაასი, ჩხუბი—აღგილის დასაქერად, საღლდათების გარშონის დაკვრა და „ტრეპაკას“ ცეკვა, ვაჭრობა სანოვაგით, წიგნებით, სურათებით, შძივებით, სადაფებით და სხვა... უცელა ქს მაყურებელს თვალს უჭრელებდა და ყურში ფუტკრის გუნდის გუგუნად ქმოდა.

საღამო იყო. ცეცხლ-წაკიდებული მხე, ბურუსის თხელრიცე-წამოსხმული, ზღვაში საბანაოდ ემზადებოდა. მისვან მოვარაყებული ფერდობები ზღვის ჩალურჯებულ ქარგაზე ნახ ნაქვთებად დაწყობილიყვნენ და აღამიანის თვალს უალერ-სებდნენ.

ინ, დაილრიალა გემია, მძიმე-შძიმედ მოსწყდა ნავთსაცუ-დელს, შემოტრიალდა და გასრიალდა ლურჯ ტალღებში. ხელეთი, თითქოს გემის თავდანებებით გაჯავრებული, სწრა-ფად შორდება მგზავრებს და თან-და-თან რუხდება. ბოლოს ივი თითქოს გალხვა და ზღვასა და ჰერს შეერია.

მთელი დღით მოქანულმა შეემ დასასვენებლად ზღვის ზეირთებში ჩაიყურებულებოდა. ღამის მეფე მთვარეც გამოჩნდა თავისი ამალით ცის კაბალონზე და ზღვის ქავლი თვალის მომჭრელიად ააფერადა...

გემის მოაჯირზე დაყრდნობილი გიორგი გატაცებით გასცეკრის ამ საოცნებო სურათს. პირველად შეედავს ზღვას. მასზე ბევრი რამ გაუგონია და წილუკითხავს, მაგრამ მის თვალსა

და ყურს იგი ბევრს ახალს ეუბნება. ძალიან მოსწონს ზემოქმედებას მთვარის სინათლეზე ლაპლაბი, სირბილი, თამაში, ერთმანეთის გამოცვომა და შეხეთქება. თითქოს მათ ვარსკვლავები დაუკერიათ და ერთმანეთს ეცილებიან: არა, ჩემი ვარსკვლავი სჯობია!

დელფინები \*) გემს ხტოშით მისდევენ, თითქოს მას ცურვაში ეჯიბრებიან. სწომთ თავიანთი გამარჯვება და სიხარულის გამოსახატვად რკალიერ ამოხჩილნი ამოხტებიან ზღვის ტალღებიდან, თეთრ მუცლებს ამოაბჭყრიალებენ და წიგრევიან ისევ ტალღებში...

ტალღები დრტვინავენ დელფინების ასეთ განზრახვაშე და, მის გაუმაძლრობით აღშეუთებულნი, პირიდან ქაფსა ჰყრიან...

— რა უპნაური აზრები მომდის! — ფიქრობს გიორგი: — დელფინებს ვინ მისცათ შურისა და მტრობის გრძნობა? ან ტალღებს სად შეუძლიათ დრტვინვა და შფოთვა: ისინი ხომ უსულონი არიან, აზრსა და გრძნობას მოკლებულნი! შური, მტრობა, ქიშობა, — ეს ადამიანის თვისებაა, რომელსაც თავი მოაქვს შეგნებით, განათლებით!

და ვახსენდა თავისი ცხოვრება ქალაქში, მგალობელთა დამოკიდებულება გასთან. პირველში მას ყველა თანაგრძნობით ეყურობოდა, თითქმის სიყვარულით. შემდევში, როგორ ერთმა ქველმოქმედმა სიმღერა-მუსიკის შესასწავლად მას თავის ხარჯზე საზღვარ გარედ გაგზავნა აღუთქვა, ისინი შურსა და მტრობას ედღარა პფარველნენ. თეთო ლოტბარიც კი, რომელიც უწინ სულ მის ქებაში იყო, რამდენადაც გიორგი მაღლა აღიოდა თავის ხელოვნების შესწავლაში და მას უასლოვდებოდა, იმდენად მისდამი გულგრილობასა და მიუკარებლობას იჩინდა.

თვალ-წინ წირმოუდგა მას ის წუთები, როგორ მისი გალობით გატაცებულნი მლოცველნი ივიწყებდნენ ყოველს

\*) ზღვის ლორები.



ქვეყნიურს და აღაპყრობდნენ ზეცად თვალს, რომელიც მხოლოდ ლმობერება და სათნოება-ლა იხატებოდა.

— ალბად სიმღერა-მუსიკაში შთანთქმული ის ჯადოსნური ძალა, რომელმაც ახლანდელი მხეცი — ადამიანი უნდა გარდაქნას სრულ-კაცად — ფიქრობს გიორგი. — მაში, უნდა-განვევითარო ლეთისაგან ბოძებული ნიჭი, რომ უფრო მარჯვედ გამოვიყენო იგი ცუდ გულის-თქმათა ჩასანელებლად, ჩასქრობად...

## V

გიორგიმ სამი წელიწადი დაჲყო იტალიის ქალაქ ფლორენციაში სიმღერა-მუსიკის შესასწავლად. გამოჩენილი პროფესორი, რომელიც გიორგის სიმღერას ასწავლიდა, გაოციბული იყო მისი სმენის სიმახულით, მომზიბლივი ხმით და საუცხოო შესრულებით; დიდ მომავალს უქადა მას.

მართლაც, სამი-ოთხი წლის განმავლობაში მან პირველი საოპერო მომღერალის სახელი გაითქვა. ევროპის სატახტო ქალაქები ერთმანეთს ეცილებოდნენ მის საგასტროლოდ<sup>1)</sup> მიწვევაში. გაზეთები აღუროთ ენებულ რეცენზიებს<sup>2)</sup> უძლვნილენ. ქართული პრესაც<sup>3)</sup> კმაყოფილებით აღნიშვნადა თანამემამულის წარმატებას და სინანულს გამოსთქვამდა, რომ სამშობლო მხარე მოკლებულია იმისთვინა ძალას.

გიორგი საქართველოსთან კავშირს არა სწყვეტდა: იწერდა ქართულ ეურნალ-გაზეთებს და ჰქონდა მიწერ-მოწერა რამდენსამე პირთან. დედისაგანაც იჯებდა წერილებს. იგი ყოველთვის ეხვეწებოდა მას სამშობლოში დაბრუნებას, რომ ერთხელ მაინც თვალი დაეკრა თორმეტი წლის უნახავ შვილისთვის. დედას წერილზე მუტამ პასუხს აძლევდა, უხვ დახმარებას უწევდა, მოხელიზე კი არაფერს სწერდა.

1) მომღერალის ან მსახიობის მიწვევა ერთ ან რამდენსამე წარმოდგენაზე. 2) შეფახება როლის შესრულებისა ან ლიტერატულურ შერმისა. 3) პერიოდული გამოცემა.

ბევრჯელ დააპირა გიორგიმ სამშობლოში დატურუნებამარცა  
მაგრამ, თავის თვეისაც რაღაც გამოურკვეველი მიზე ხებით, სულ  
შემდევისთვის სდებდა წამოსვლის ვადას.

ბოლო დროს დედის წერილში შეიგვიანა. მოუსვენრობა  
დაეტყო.—ხომ არაფერი აუტყდა?—სწუხს გიორგი:—იქნება  
ველარ იიტანა ამდენი ხნის ჩემი დაშორება და გამოესალმა  
ტანჯულ სიცოცხლეს?—თვალები ცრემლებით ავასო. ახლა  
იყრძნო, რომ დედა, რომელსაც იგი თითქოს რაღაცაში  
იმტყუნებდა და მის წერილებზეც მუდამ მოკლედ უპასუხებდა,  
უფრო მეტად ჰყვარებია, ვიდრე თვითონ ეგონა.

ფოსტის დამტარებელმა ქურნალ-გაზეთები და წერილები  
მოიტანა. მათში ერთი მისი სამშობლო სოფლიდანაც არის.  
ამის აღვილად ატყობს, რაღვან მისამართს ყოველთვის გიმ-  
ნაზიაში კურს-დამთავრებული მღვდლის ქალი აწერდა ფრან-  
გულად.

რაღაც არაჩვეულებრივი ამბავის მოლოდინში დელვა  
დაიწყო და, ათრთოლებული, საფარისელზე დაეშვა. გიხსნა წე-  
რილი. გული დაუშვიდდა: იცნო დედის აჩხაბაჩხა, მაგრამ  
მის თვეის ძვირფასი ნაწერი.

— ჩემო სიცოცხლე, ჩემო თვალის ჩინო შეილო გიორ-  
გი!—სწერდა სხვათა შორის დედა:—საზღვარ გარედ წასვ-  
ლამდისაც გთხოვე მოსელა, რომ დავტრიებარიყავ შენი მზე-  
რით, მაგრამ ჩემი უნიხევი წახველი. მანდაც ბევრჯელ მოგ-  
წერე, რომ მომსულიყავ, ერთი თვალი დამეკრა შენთვის,  
მაგრამ შენ მოსელისას არაფერს იწერები. გატყობ—გულ-  
აყრილი ხარ ჩემზე. ალბად მიწყრები, რომ მამი-შენის სი-  
კვდილის შემდეგ სხვაზე გავთხოვდი. ახლა მეცა ვგრძნობ  
ჩემს შეცდომას, მაგრამ შენც მიგიძლვის ამაში დანაშაული  
დაქვრიცების შემდეგ გადავწყვიტე თავი დამედვა შენზე და  
კაცი გამომეუფანე, მაგრამ პატარიაობაში შენ ცხოვრების უნა-  
რი სულ არ გეტყობოდა. შე კიდევ ავიტანდი სილარიბეჭა



და გაჭირებას, მაგრამ შენს მამულს მეზობლები ეპტრიონებ-ბოლნენ, სახლ-კარი მოუკლელობით ოხრდებოდა. ისევ შენი სიკეთისათვის ვარჩიე გავთხოვებულიყავ სხვაზე. იგი სოფელში გავლენიანი კაცი იყო. ვიფიქრე ჩემი შეიღის მამულსა და სახლ-კარს პატრიონობას გაუწევს და სხვას არ დაოხრებინებს მეტე. ამაში არც მოვტყველი. თუმცა მამულის შემთხვევალს თავად ითვისებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, უკლიდა კი-დეც შას.

ვერ გავითვალისწინე რა მოგელოდა შენ მამინაცვლის ხელში... იგი აბრძარი და სასტიკი კაცი გამოდგა. გული ბალამით მევსებოლდა, როცა შენ მისგან ტანჯვასა და ცემას ითმინდი. ვსწყევლიდი იმ დღეს, როცა შენ ასეთ ყოფაში ჩაგვადე. ბევრჯერ მიტირნია ცხარე ტრემლით შენს უწუმრად, მაგრამ შეცდომის გასწორება გვიან-და იყო. ნათებავნაცნობების შემწეობით, როგორც იყო, ქალაქში დღიული გიშოვნე და გავარიდე ივ მამინაცვალს. შეძევ შენ თავად გაიკვლი ცხოვრების გზა...

შენ ვერ წარმოიდგენ დედის სიხარულს, როცა მას ყველგან შვილის ქება ესმის! დიახ, უსაზღვროდ ხარიბდა ჩემი გულიც შენი წარმატებით, მაგრამ ამასთანავე უსაზღვროდ ვიტანჯებოდი: ვგრძნობდი, რომ საბედისწერო ნაბიჯის შეძლევ შენ მე თითქმის დედიდ აღარა მთვლილი...

რამდენიმე თვედა შენი მამინაცვალი გარდაიცვალა. მისგან, როგორც იყო, შვილი არ დამტჩინია. გერები მამის კვალზე წავიღნენ: მათგან ერთი ტკბილი სიტყვა არა მსმენია. ამიტომ ისევ პირეელ ბინას მიერტან.

დიდი მადლობელი ვარ, შეიღო, რომ არ მივიწყებ და უულით დახმარებას მიწევ. ჩემზე ბევრს არას ვხარჯავ: — სულ შენი სახლ-კარის გამშვენიერებას ვახმარებ, — იქნება როდისმე იფიქრო მოსელა, — და მინდა კველაფერო რიგზე დაგხვდეს.

გახსოვს, ჩვენი სახლის წინ რომ დიდი მსხლის ხე იდგა? თითქმის მთელ ზაფხულს მე და მამა-შენი მის ქვეშ ვატარებ-

დოთ. მის ქვეშ ირწვეოდა შენი აკვანიც. დილით ოჯახში ჭრის მანამართ და მას რომ მოვტჩებოდი, მოვიდოდი და დაგხედავდი: შენი პატიშა ხელები არტისტებიდან ამოღებული დამხედებოდა; პირ-მოხდილი და მაღლა ხელებ-აწვდილი შემსაროდი მსხლის ფურცლებზე შეის სხავების თამაშს და ურინველთა ჰიკვიქ.

ის ხე დიდი ხანია ქარმა ძირითად ამოაგდო. შენ ძალიან გიყვარდა მის ჩრდილში თამაშობა. ამიტომ მის აღვიღოზე ისევ შესალი დავრგე. ახლა ის კარგა გაზრდილია და უკვე ნაყოფ-საც ისხამს.

შენი აკვანიც ისევ ხელ-უხლებლიდ მაქვს შენიანული. შეი შენი გოთი და ჩილიკა აწყვეია. შენს მაგივრად მათ ვეა-ლერსები, შათზე ვიკლავ დედობრივ სიყვარულის წყურჩილს.

დარღმა და სიბერემ ჯანი გამიტება. ვატყობ, რომ ბევრს ვეღარ ვიცოცხლებ, მაგრამ ვეღარ ვიბედავ თხოვნას, რომ მოხვიდე ჩემ სანახავად: იქნება ლირის არ ვიყო შენი დატი-რებისა... ჩემი თხოვნა მხოლოდ ის არის, რომ შენი კერა არ გააცივო და ბოლოს მაინც შენს სამშობლოში დაპი-ნავდე...

დედის წერილს შეიღის სინანულის ცრემლები ეპკურე-ბოდა. იგრძნო გიორგიმ თაეის დანაშაული დედის წინაშე.— ახლა კი მოვალ, დედილო, დაგიკოცნი ჩემს აღმზრდელ ტუ-ძუებს!—ჩილიაპარაკა მან ამოხედვით და მისცა თავი ცვა-ლებადობით სავსე წარსულზე ფიქრს...

მოიგონა თაეისი კარ-მიდამო, მსხლის ხე და მის ქვეშ თა-მაშობა, ვარდის ბუჩქებით ჩიმშეკრიცებული ბალჩა და მათზე ბულბულთა სტენა. დედა მას თაეზე დასტრიალებს, მამა სა-თამაშოებს უკეთებს, ზლაპრებსა და არაკებს უამბობს, ან სიმ-ლერას ასწავლის.


— ამ, რა ნეტირნი იყვნენ ბავშვობის დღენი!.. შემდეგ ობლობა, მრავილ წლის გინმავლობაში გატირვება, ტანჯვა, შიშშილი. ბოლოს ცხოვრების მორევში ჩიყურკუშელავება და ამოტივტივება მის ზედაპირზე...

გრძნობს, რომ დედა მართალია მის წინაშე: მისგან მშენებელია  
გაცრუებული ძალებული იყო მეორედ გათხოვილიყო. ახლა  
მიხვდა, როგორი ძლიერი ყოფილი დედობრივი სიყვარული:  
შეილის გულისთვის დასთმო თავისუფლება და მისთხოვდა  
სხვას; ის კი იმდენად გულ-ქვაა, რომ თორმეტი წლის გან-  
მავლობაში ერთხელ თვალით არ დაენახვა მისი გულისთვის  
ტანჯულ დედას!

ცრემლები მოიწმინდა. გაღმოილო ქალალდი, დასწერა  
რამდენიმე სტრიქონი და გაატანა მსახურის ფოსტაში დედას-  
თან დეპეშის გასაგზავნად. თავიდ კი სამშობლოში გამოს-  
მგზაერებლად დაუწყო ბარგს ჩალაგება.

დედასთან ერთად თავის სახელოვანი შეილის დაბრუნებას  
მთელი საქართველო მოუთმენლად მოელოდა...

დ. ძეძაშიძე.



## გაზათხული

1

ზურმუხტდა მთა-ბარი, იხუჭუპდა ბუჩქები,  
ნიჩრიალით მოიმტერევა, წყარო მთით მონაჩეცფი!

ვიშ, რა კოხტად აცვია ტყეს ლურჯ ფოთლების კაბა,  
ვარდის ბუჩქები ბულბულშა ეშიით სული განაბა.

ჟვავილებს ტუჩს უშვერებს ნამი—ბროლის წერტილი,  
ფოთლებს ეფურჩელება სიო ფრთებ-აცძვეტილი,

ბუდრუგუნა ფუტურები დაფრინავენ ზუზუნით,  
სკისკენ მიიჩქარიან, მთერალნი ჟვავილთა სუნით,  
მთა და ბარს ახალისებს ფრინველთა ხმა-ტკბილობა—  
სხვა-და-სხვა ხმით ჭიკჭიკი, ნაზი, მწყობრი გალობა.

გაზაფხულდა, ბუნება აღსდგა ძილ-დამსხვრეული,  
საოცნებოთ მოიჩით, მიწის მწვანე რვეული,  
განახლების ნიავი დაჭქრის ფრთებ-შერხეული...  
ჩაგრულთ მხარეც ზეიმობს ძაბა-შემოხეული;

გაზაფხული ჯერ ასე არივის შეგვეიტკბია,  
სიცოცხლის მზეს ჩაგრულნი მეტად არც გაუთბია,—  
—ეხედავთ—ძველი დაინგრა, ზედ იხალი იშენდა;  
მიკვირს შუალამეზე დილა როვორ გათენდა!!

რა მოგვესწრო!! რა ენახეთ!! ჯერ არას დროს ნახული:  
წელს გვესტუმრა, მხოლოდ წელს, ნანატრი გაზაფხული!..

ი სოხარულიძე





## უქნარას ზღაპარი



ყო და ორი იყო-რა,—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,—იყვნენ ერთი მოხუცებული ცოლ-ქმარი. ცხოვრობლენენ მივარდნილ, ულრან ტყეში. ჰყავდათ სამი ვაჟი. ორი უფროსი — მონადირეები იყვნენ; ყოველ დღე სანადიროდ დადიონენ და „ორის დროს სახლში ხელუარიელები არ ბრუნდებოდნენ. უმცროსი კი მშების ხელობას ვერ შეეჩინა. პირველ ხანებში ვიდრე პატრია იყო და ურჩობა არ შეეძლო, ძმებს დასდევდა ტყეში სანადიროდ. მაგრამ როცა მოიზარდა ნადირობაზე ხელი იიღო.

ძმები ყოველთვის ეწეუბებოდნენ უშცროს ძმას, რომ ის ხელს არ უწყობს მათ ქონების შეძენაში. მეტ სახელად „უქნარაც“ დაარქვეს; მაგრამ ის ძმების ჩეუბს ყურს არ უგდებდა; ცხოვრობდა თავის გემოვნებაზე, შრომობდა, როგორც შეეძლო, და შემოქმნდა სახლში, რასაც შოულობდა.

უქნარა ტყესა და მინდორში დადიოდა; შრომობდა, ოფლს იწურავდა და ასე თავს ირჩენდა; დედმამასაც უნაწილებდა თავის შრომის ნაყოფს, მაგრამ ძმებსავით იდეილად ქონების შეძენას ვერ ახერხებდა; არც სურეილი ჰქონდა იმისი.

პირველ ხანებში უფროსი ძმები მხოლოდ ბუზღუნებლენენ, ემდუროდნენ უშცროს ძმას, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, უკმაყოფილება ძმებს შორის უფრო გამწვავდა.

ერთ დღეს უქნარა ტყეში იყო. საღამოთი უფროსი ძმები დაბრუნდნენ ნანაღირევით. შემდეგ სახლში შემოვიდა უმცროსი ძმაც. მას ხელში წითელი ხელსახოცი ეჭირა. ძმებსა შეურდა გაეგო,—რა მოიტანა მან ტყიდან. უქნარამ გახსნა ხელსახოცი და იქიდან გადმოხტა ზღარბი. ზღარბის დანახვაზე ორთავენი საშინლად გაბრაზდნენ და ძმას ლანძლვა დაუწყეს:

— აი, შე, უბედურო, შე უქნარა—შენა, თავი აიგდე მასხარად! ადე, დაიკარგე იქედან, ეგ შენი ნანაღირევი თან წაილე.

ბოლოს როგორც იყო დაშოშმინდნენ და უქნარას თავი დაანებეს.

გავიდა რამდენიმე დღე. უფროსი ძმები კიდევ სანაღიროდ იყვნენ. უქნარაც ტყეში იყო. ძმები ჩვეულებრივად ნანაღირევით დაბრუნდნენ. უქნარაც შემოვიდა სახლში თავისი წითელი ხელსახოცით. გახსნა ხელსახოცი და იქიდან გადმოხტა მოზღიული კუ. კუს დანახვაზე ძმებმა სულ ცეცხლი მოიკიდეს. უნდოდათ უქნარასათვის ეცემნათ, მაგრამ შეუში მოხუცებული დედ-მამა ჩაუდგათ და არ დაანებეს საცემლად.

გაბრაზებულმა უფროსმა ძმებმა გადაიკიდეს იარალი და სახლიდან გავიდნენ. ერთ კვირას სახლში არ დაბრუნდებულან. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდნენ და დედ-მამას გამოუცხადეს, რომ ისინი სხვა ქვეყნაში მიღიან: აქ ცხოვრება აღარ შეუძლიანთ.

დედ-მამა ეხვეწებოდა შვილებს სახლში დარჩენილიყვნენ, მაგრამ წასელა მტკიცედ პქმნდათ გადაწყვტილი. ძმებმა დედას სახსოვრად თითო ხელსახოცი მისცეს და უთხრეს:

— როცა ხელსახოცები გაშავდება, მაშინ მკვდრად გვიგულეთ და ჩვენს დაბრუნებას ნულარ მოელოდებით.



დედამ შეილებს გულზე თითო ხის ჯეარი ჩამოჰკიდა, დაჭკოცნა და გზა დაულოცა. მამაც ცრემლ-მორეული თვალებით გამოეთხოვა შეილებს.

ძმებმა შექტეს თაეითოთ ბარგი, იარალი გადაიკიდეს მხარზე და გზას გაუდგნენ. დედ-მამა გაჲყვა გასაცილებლიდ. ძმები გაიღინენ ჯვარედინ გზაზე, ერთმანეთს გამოეთხოვნენ და სხვადასხვა გზას გაუდგნენ. მოხუცებულები დიდ ხანს გაჲყურებდნენ შეილების გზას თვალ-ცრემლიანები, ბოლოს ერთ მუხის ძირას დასხლნენ და სიგონებელს მიეცნენ. თითონ შრომა აღარ შეეძლოთ და უმცროსი შეილის იმედი კი არა ჰქონდათ, რომ მათ შენახვის შესძლებდა.

## II

უქნარი შინ არ იყო, როცა იმისი უფროსი ძმები სახლიდან წავიდნენ. უქნარამ ყველა მცენარის, ცხოველის და ფრინველის ენა იკოდა. ამიტომაც ვერ შეეჩერა ძმების ხელობას: მოსეენებას არ აძლევდა ხოლმე სასიკვდილოდ დაჭრილ ცხოველთა და ფრინველთა წუხილი. ბევრჯელ შეეცადა აეხსნა ნადირთა ტანჯვა ძმებისათვის, მაგრამ ძმებს უქნარას ლაპარაკი არ ესმოდათ, —სულელს ეძახდნენ უთავბოლო ლაპარაკისთვის. დღესაც დარჩა უქნარი ტყეში და ვერც კი გაიგო, როგორ მოახლოედა სალაშო.

როცა სახლში დაბრუნდა, სახლის კარებში მოეგებნენ ზღაპარი და კუ. ამათ შეიტყობინეს, ძმების ამბავი.

უქნარი დაღონდა, მაგრამ მეგობრებმა გაამხნევეს. ზღაპარმა უთხრა:

— ნუ გეშინია, დედ-მამის შენახვა არ გაგვიჭირდება; მათ გამოკვებაში მეც დაგეხმარებიო — ანუგეშა კუმ. — მე იხალ სახლებს ავიშენებ და შენ დედ-მამის დარცს დაგავიწყებო. წალი ისინი ამა და ამ მუხის ძირასა სხედან, იპოვნე და სახლში მოიყვანეო.

უქნარა წောဂიလა დედ-მამის საძებნელად. ზღარბი და კუ სახლში დასტოვა. უქნარამ დედ-მამა იპოვნა და თან წიმო- ყვანა. მოხუცებულებმა შეაღეს სახლის კარი და შეკრთნენ. თავისი სახლი კელი იცნეს. გრძელი ტახტი შევენიერი ხალი- ნებით იყო დაფენილი; ზედ სუფრა იყო გაშლილი, ნაირ- ნაირი საჭმელები ელივა. შეუ ილაგას ყვაეილების ლამაზი თაიგული იდგა.

მოხუცებულები უკან გამობრუნების პირებდნენ, მაგრამ უქნარამ გაამხნევა და დედ-მამა სახლში შეიპატივა. როდე- საც ისაღილეს, უქნარამ დაუძახა ზღარბს და უთხრა:

— აბა, იზრუნე და სუფრა იგვილაგე.

ზღარბი აფრი ტახტზე თაიგულიდან ერთი წითელი ვარ- დი ამოაძრო, და თვალის დახამხამებაზე სუფრა ალაგდა.

მოხუცებულებს თავი სიშმარეში ეგონათ. გაოცებულნი შესკეროდნენ ერთმანეთს. უქნარა კი ანუგეშებდა დედ მა- მას და ცდილობდა გაემხიარულებინა რინი.

საღამო სიამოვნებით გაატარეს. მეორე დილით უქნარამ დაუძახა კუს და უთხრა:

— ჩემ დედ-მამას ამ ძველ ქოხმახებში ცხოვრება მობე- ზრდათ და ერთი კარგი სახლი იგვიშენე.

კუმ გამოყო თავი ფირფიტიდან და გაუწილა უქნარას ერთი პატარა კოლოფი. უქნარამ გამოართვა კოლოფი, გა- მოეიდა ერთ მშევნიერს მინდორზე და კოლოფი გახსნა. იქ ორი კენჭი აღმოჩნდა. ეს კენჭები დედამიწაზე დააწყო და იქ თვალის დახამხამებაზე გადაიკიმა კოხტა თრ სართულიანი სახლი. გაღმოიყვანა უქნარამ ამ ახალ სახლში თავისი დედ- მამა და მეგობრები და შეუდგა უდარდელ ცხოვრებას.

### III

დრო გადიოდა. ცხოვრობდნენ მოხუცებული დედ-მამა უქნარასთან და უფროსი შეილებისა არაფერი არ იცოდნენ.



დედა ყოველ დილით ამოალაგებდა ხოლმე სკიფრიდან წელი ცახოცებს, ათვალიერებდა და ისევ შეჩრუნველობით ალაგებდა. ასე იკლავდი შშობლიურ მწუხარებას.

ერთ დილით დედმ ნახა, რომ ხელსახოცებს ფერადი ყვავილები დაპყროლდა. შეშინებულმა ქმარსა და შეიღლს შეატყობინა ეს ამბავი. უქნარიმ აიღო ერთი მუქა ხორბალი და გასწია ტყისკენ. ერთ დიდ მუხის ძირში გადაყარა საკენკი და დაუსტვინა. ათასნაირი ფრინველი მოფრინდა და საკენკს მიესია. უქნარიმ ჰქოთხა ძმების ამბავი. არწივშა უთხრა:

— მე ვიცი შენი უფროსი ძმის ამბავი. დასავლეთ ქვეყანაში გველვეშაპს წყარო ჩაეგდო ხელში და მცხოვრებლებს წყურევილით ჰკლავდა. შენმა ძმამ მოჰკლა გველვაპი და ხალხი იუტანელი ტანჯვისაგან იხსნა. ქვეყანა ამის შემდეგ წარმატების გზას დაადგა, მრეწველობა და იღებ-მიცემობა განილდა. მაღლიერი მცხოვრებლები აღმერთებენ შენ ძმას.

წერომ უთხრა:

— მე ვიცი შენი შეათანა ძმის ამბავი. აღმოსავლეთ ქვეყანას ერთი კაცი-ჭამია მოევლინა. ტანად ორი გოჯი იყო და ცხრა არშინი წვერი ჰქონდა. მისი საქმელი იღამიანის ხორცი იყო. ახალგაზდა ქალ-გაეს მუსრს ავლებდა. მაგრამ თითონ ამით მაინც სულს ვერ იდგამდა: ცარიელი ძეალი და ტყავი იყო. შენმა შეუათანა ძმამ მოჰკლა ეს კაცი-ჭამია და ქვეყანა განსაღელისაგან იხსნა. შენი ძმა ახლა იმ ქვეყანაში ცხოვრობს და მას ცველიანი თაყვანსა სცემს.

უქნარა ნახიამოვნები დაბრუნდა სახლში და უამბო დედმაბას, რაჯ ფრინველებისაგან შეიტყო. ნაამბობმა მოხუცებულები ასიამოვნა და დაამშევიდა.

## IV

გავიდა კიდევ დრო. დედა ყოველ დილით ათვალიერებდა ხელსახოცებს და დამშევიდებული იყო, რომ იმათ წელულებრივი ფერი ჰქონდათ.



ერთ დღილით ნახა, რომ ხელსახოლები ხან წითლდებო-  
ლნენ და ხან შეცდებოლნენ. დედამ მწარედ შემოიკა ლო-  
კებში და მწუხარებით წარმოსთვეა: ვაიმე, შეიღებო. ვინ  
იცის, რა გაქირების დღეში მყევნართ და შეველელი არავინ  
გყავთ!

უქნარამ ოლო ერთი მუქა ხორბალი და გასწია ტყის-  
კენ. დიდი მუხის ძირას ვაღავარა საკენე და დაუსტევინა.

ရွှေဂြေ-ဟင်ဂလာတ မြေဖုန်းနှင့် ဖျော်ချော်အကြောင်း ဖြစ်ရှိသူများ  
ပါ၏ ဖြစ်ပေါ်မှု အတွက် အမြတ်ဆုံး ဖြစ်ပါသည်။

— წიგ... წიგ... წიგ!.. — გაისმა პასუხად. — ვიციო, ვიციო შენი ძმების თავგადასავალი. დიდი ცოდო დატრიიალდა ომოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებში. ერთმა მშეთ-უნახევრა ქალმა ლამზის ინაცვალოს მთელი ქს ქვეყნები. სილამაზით ამ ქალს ბადალი არა ჰყავს, მაგრამ სისტიკობაშიაც არავინ შეედირება. ქალმა გასცა ბრძანება: ვინც ჩემი კოშკის გალავანს ააშენებს, ის იქნება ჩემი ქმარიო. ახლა ორთავე ხელმწიფენი ეჯიბრებიან ერთმანეთს ელეტრაში, მაგრამ გალავნის აშენებას არაფერი არ ეშველა. ორთავე მხრიდან ჯარი სულ გაწყდა. ჯერი მიღდა ბელადებზე. ერთ მხარესაც და მეორესაც თითო გმირი დარჩენიათ. ესენი ლეიძლი ძმები არიან, მაგრამ არ იციან თავიანთი ეინაობა. ხელ უკანისკნელი დღე ბრძოლისა. ამ თარი ძმის შეტაკებამ უნდა გადასტყვეიტოს ბრძოლის ბეჭ-ილბალი. არიქა, შენ შეგიძლია შველა, თუ მოინდომებ. შენი მეგობრები, ზღარბი და კუ, დაგეხმარებიან.

უქნარა დაბრუნდა სახლში და უამბო თავის დელ-მამას, რაც შეიტყო.

კუმ გაიძრო ერთი ფიჩქეიტა და მისცა უქნარის. ზღარბმა მოუტონა ერთი ტყვია და უთხრა: — ეს ტყვია ჩაღე შენ თოვ-

ში და გაისროლე იმ მხარეს, სადაც მეომარი ჯარებში ჭაბულია და კეტული.

შემდეგ მისცა ერთი წკეპლა და უთხრა: — აი, ეს წკეპლა გადაპყარ შორი-ახლო მდგომა და სეირის მაყურებლებს.

უქნარა დაჯდა ფირფიტაზე და თვალის დახმამებაზე ჰაერში აფრინდა, ზეციდან მიავლ-მიავლო თვალი დედა-მიწას დაინახა ის აღვილი, სადაც გაცხარებული ომი იყო. დახო-ცილი ხალხის სისხლი ზღვას ერთოდა. ისმოდა გმინვა და კვენესა აი შეიძნენ სარდლებიც. მოუქნია ხმალი აღმოსავლე-თის ბელიდგი, მაგრამ მოწინაღმდეგებ მარჯვედ მოისხლიტა მოქნეული ხმალი. ახლა თვითონ მოუმზადა ხმალი მოსაქნევად. ამ დროს გავიარდა უქნარის თოფი. მეომრებს მოქნეული ხმალი ხელში გაუშეშდათ. გმინვა შესწყდა. დახოცილნი აღზდგნენ მკვდრეოთ.

სეირის მაყურებლები შეკრთნენ ამ სანახაობაზე. მხეთ-უნიაზემა ქალმაც სიმშვიდე დაკარგა. უქნარა ჩაუვარდა შუა-ში ხმლებ-შემართულ ძმებს და დაუძხა:

— აბა გადისენით მკერდი და ნახეთ, რა ნიშნები გაქვთ გულზე?

მეომრებმა საკინძე გაიხსნეს და იცნეს დედის მიცემული ჯვრები. გონს მოვიდნენ და ერთმანეთი გადაპკოცნეს.

უქნარა კი აიკრა იმ აივანზე, სადაც განცხრომით ბან-დებოდა მხეთუნაზევი ქალი და წკეპლა გადაპკრა. ქალი კვალ იქცა. უქნარამ ზედ წააწერა: „სისხლის მსმელი\*. შემდეგ მოუბრუნდა ძმებს, დაპკოცნა და უამბო, როგორ მოველინა მათ განსაკუდელის დღეს; დასხა ისინი ფირფიტაზე და თვალზე უსწრაფეს სამნივე ძმები სახლში გაჩნდნენ. მოხუცებულმა დედ-მამამ ტკბილად დალოცა შინ მშეიღობით დაბრუნებული შეიღები.

\* ძმებს ძალიან მოეწონათ უქნარის აშენებული ოჯახი. დედ-მამას გარდა ახლა სახლში ზღაპრისა და კუს მაგიერ

დახვედრთ ორი შეცოუნახევი ქალი. უქნარამ ეს ქალები მმებს ცოლებად უთხოვა. თვითონაც შეირთო ცოლად ქვესენ ელთა შეფის ქალი და ამის შემდეგ სამნივე ძმები ცხოვრობდნენ ტკბილად და სიამოვნებით.

ქირი იქა,—ლხინი აქა;  
ნაკარი იქა,—ფქეილი აქა.

### მლენი კლიმიაშვილი.





## სიცოცხლე

**გ**ავი ტყის გაღმა მთის გვერდზე ძევს ათას: წლოვანი ვევებერთელა ლოდი. ათასში წელმა შეახო მას თავისი ერთი და იგივე, მუდამ ცვალებადი, მაგრამ მუდამ ერთნაირი ფრთვები... ათასში წელმა გრძვინვით გადაიარა მის თავზე... მაგრამ... ის ძევს და სძინავს, სძინავს ლრმა საუკუნო ძილით.... არის თავისთვის... ერთი აქვს სახრუნავი: წოლა და ძილი...

თუ ათასში ერთხელ მთელი დედამიწა გაქანდა, შეინძრა, მხოლოდ მაშინ, თითქოს წამით შესწყვეიტა ძილიო, ერთს კი ყრუდ დიაგმინებს და ისევ განაგრძობს ძილს... იმისი შეუცვლელი და ჩუმი, ყრუ სურვილია:—სიმშეიდე, ძილი, არსებობა.

მთის მკერდიდან მოჩუბჩუბებს წყარო. ერთხელ გაკვლეული გზით მიღის და მიღის წინ, მიღის დაუსრულებდად, შეუზარებლად. მან არ იცის რაა დალლა... შრომობს, სულ შრომობს... აბა, ერთი შესწყვეიტოს დენა, და ნახავთ—

რაც მოხდება: ვინ ააბრუნებს წისკვილებს?.. ვინ გამოატო-  
ცხლებს გვალვით დახრუკულ ყანებს?.. ვინ მოუკლავს წყურ-  
ვილს დასიცხულ ცხოველებს?.. დასიცხულმა ფრინველებში  
სად გაიგრილონ?.. ველ-მინდორჩე მომუშავე ადამიანში წყურ-  
ვილი უნდა ითმინოს!.. მიყრუებულ მთის კალთებში შშრო-  
მელი ხომ ვეღარ გაიგონებს მის განუწყვეტელ ჩხრიალს, იმ  
ბრძოლის უინს, იმ სიმღერას, რომელსაც ჩველგან ჰფენს  
მთელ არემარეს!..

დიახ, დიდად შრომობს მთის წყარო... ის არ დაეძებს  
არც დასაწყისს, არც დასასრულს... ერთი აქვს საზრუნავი:  
დენა და შრომა! ბრძოლით გზის გაკაფვა, ბრძოლით პასუში  
ცველაფერს, რაც გზაზე გადაელობება!..

მიღის და გამარჯვებული მებრძოლივით მირაკრაკებს...  
და იმ რაკრაკში ჰკრთის დაუსაბამო და იდუშალი ხშა:—ბრძო-  
ლა, სიცოცხლე!...

ის, მინდერის იას, ტურფას, ნაზს და გულ-მკერდ-ლიას,  
მხიბლივიდ მიუპყრია სამყაროსთვის თავისი ლამაზი, ცისფერი  
თვალები... ერთი შეხედეთ: გეგონებათ—მთლად ცქერად  
გადაქცეულო... უკვირს, უკვირს ცველაფერი, რაც მის გარ-  
შემოა, და სიყვარულით უპქერის ცველაფერს... მაგრამ ცვე-  
ლაზე უფრო კი უკვირს და უკვირს თავისი თავი... უხარის  
თავისი ამ ქვეწად ყოფნა... და ვეღარ მალავს ამ სიხარულს.  
შეხედეთ, შეხედეთ!.. ასეთსავე ყოფაში არიან ის ყვავილებიც,  
ამ იმ პატარა მდინარეს რომ შემოურგავს თავის ლამაზ ნა-  
პირებზე უწესოდ, ველურად, მაგრამ მაინც ლაშაზად... აღარ  
იციან—რა ჰქნან სიხარულით. მთელი თავისი არსებით შესტრ-  
უიან მსოფლიოს და ოლტაცებული სისოებით შესთხოვენ ქვეყ-  
ნის გამჩენს:—განაგრძე ჩვენი სიცოცხლეო!..

გარინდებული დგას ცის სივრცეში ბუბერაზი მთა. დგას  
უძრავიდ და თავი ცის კამარაზე მიუბჯენია... ერთხელაც კი



არ დახრის დაბლა, ბარისკენ თვის უღრეყ ქედს... ბარი კი-  
დევაც ეზიზლება... და ან რა მისი ტოლია, რა მშანებია?..  
ველურია, სუმთლად ველური!.. მიუკარებელი!.. უბრძოლ-  
ველი მპრძანებელია მთა, ვეგა მეუფე!.. გულ-ციცი, უპურ-  
მარილი!..

თუ ათასში ერთხელ ეწვია ვინმე თავზე ხელ-ალებული  
მონადირე, ყუჩისაც არ გაიბერტყვეს. თუ ჭიი—არ აჭმევს!  
თუ სციფა—არ გაათბობს! თუ სიკვდილი თავს დაატყდა,—  
ცრემლსაც არ დახარჯავს მისთვის!.. ოლონდ ერთს კი იზამს:  
თავის ციც, თოვლიან კალთებს არ დაამადლის სამარედ...  
სდგას თავისთვის: არც არეის ქხება, არც არეის მიიკარებს...

უყვარს მთას მარტობა, განდევილობა, სიშვიდე, უშორ-  
თველობა... არაფრად ივდებს ყოველსავე „ახალს“... მარტო,  
დაყუდებული შესტრფის თავის ერთფეროვნებას... და ყვე-  
ლაფერს დაგითმობს, ყველაფერს მოვიტევებს, ოლონდ არ  
მოუშალოთ — მიყრუებული, თავის კერძო ველური სი-  
ცოცხლე.

განაცხულის ბრწყინვალე გარიერაზე აუარებელი წვრი-  
ლი ფრინველი ეფინებიან ახლად ამწვანებულ ტყეს და სხვა-  
და-სხვა ხშირ ატებობენ ყურთა სმენას. თავგანწირულად გა-  
ლობენ სხვა-და-სხვა ჰანგზე ერთსა და იმავე საგალობელს...  
და იმათი საგალობელის საგანი არის: — სიცოცხლე.

ერთი შეხედეთ, რა ბეჯითად, დაულალავად მუშაობენ  
პაწია ფეტქრები!... დილიდან სალამობდე ჯაფაში არიან...  
შრომობენ... შრომის გარეშე მათთვის არა არის-რა; შრო-  
მაში კი ყველაფერია... შრომობენ, და ნაყოფი მათი მუდმივი  
შრომისა არის თავლი — უკვდავების მომნიჭებელი, და სან-  
თული — წყვდიალის გამთან ტველი, ბნელისა...

შრომობენ დალოცილები, შრომობენ... აბა, ერთი სცა-  
დეთ და შეუშალეთ ხელი: თავს გასწირავენ, თავს შემოგაკ-

ლავენ!.. ენა რომ ჰქონდეთ, თქვენს კითხვაზე:— „რა უნდა  
მოიპოვოთ ჩაგ შრომითაო?— მათი პასუხი იქნება:— სიცო-  
ცხლე!..

მოწერიალე მღინარის პირად გადატიშულ მწვანე მინდორ-  
ზე ცხენმა კვიცი მოივი... როცა კვიცმა თავი იგრძნო  
მოულოდნელ და ჯერედ უხილველ, იხალ, ნათელ ბუნების  
კალთაში, ძლიერმა სიხარულმა გაიტაცა: ერთ ალაგას ვეღარ  
გამარტიდა და იწყო უგზო-უკვლოდ ჭენება და, როგორც  
იტყვიან, ვარსკვლივს გამოეთავაშა... იმის სიხარულს არ ჰქონ-  
და საზღვარი... და მიზეზი ამ სიხარულისა იყო:— ახლად-  
ხილული სიცოცხლე!..

სახიფლაოზე მიდის ქალი. დაეკონება ჯერედ შეეუშარიალ  
სამარის მიწას და სტირის, მოსთქვამს, ჰქეითინებს... უსაზღვ-  
როა მისი სევდა, მაისი მწერება... იმისი სამოსელის უერთ  
ლამესა პეგას... და სანამ ვინმე გულკეთილი ძალად არ წაი-  
ყვანს, სამარეს თითონ არ მოშორდება... უძილობისაგან თვა-  
ლები ჩამუშირთლებია... ლოგინშიაც ვერ ისვერებს: ჰქენესის და  
ჰქეითინებს... მიცალუებულის ნამოქმედარს რომ ნახავს, ან მოი-  
გონებს, ურემლებს დააფრქვევს... საწყალი!.. სტირის... სულ  
სტირის... და საგანი იმის ტირილისა არის:— დაკარგული  
სიცოცხლე!..

როცა მტრის ტყვიებით დაჭრილი ვეგდე ველად, მთის  
კალთებში, და სისხლასაგან ვიცლებოდი... გული სწუხდა,  
სული შფოთავდა... ვხედავდი— სიკვდილი ნელ-ნელა მიაბ-  
ლოვდებოდა... უკანასკნელი ვხედავდი საყვარელ ნაცნობ  
ადგილებს... შშობლები... ნათესავები... მეგობრები... სამ-  
შობლო ქვეყანა... ვეღარა ვნახავ!.. დამრჩა უკანასკნელი,  
მხურვალე კოუნა... ჩემი კვირილი, აყრუებდა იქაურობას. .  
ადამიანს შეელას ვთხოვდი... წყალ-წალებულივით ყველა-

ფერს ვეკიდებოდი... უკანისკნელ წიგნში ვხედავდი... ამაზე  
შეტი საშინელება წირმოუდგენელია... ვგოდებდი. ყველაფერს  
მოუწოდებდი, ორმ არ დამკარგოდა, შემერჩინა — ძვირფასი  
სიცოცხლე!

როცა ექიმებმა გამსინჯეს, სიკვდილისაგან ჩემ გაღასარ-  
ჩენად ერთად-ერთი საშუალება ნახეს: დაშვებული ალაგის  
მოქრა... და როცა მარჯვენა ფეხი მომაშორეს, ტკივილი  
შესწყდა... და თუმცა ორის ნაცვლად ცალი ფეხი-ლა დამრჩა,  
და წინანდელი მოხდენილი სიარულის ნაცვლად დღეიდან  
მხოლოდ ორი ყავარჯინით-ლა უნდა ვილისხლახო, მაინც მიხა-  
რია. და თავს ბეღძიერად ვერჩნობ, რადგან მე დამიბრუნეს  
სიცოცხლე!

ცალფეხა გიორგი ლომთათაძე





## შავ ტუანეტის შვილობილი

(ზემდეგი \*)

### XII

სიურპრიზი\*\*)



ცი, სიუზეტა! დღეს მამა-ჩემის დაბადების დღეა,  
უთხრა ერთხელ დილით დეამ ბებერ დედაკაცს,  
რომელიც ხშირად მოდიოდა პატარი ქალბა-  
რონისათვის სადილის გაკეთებაში და სხვა საო-  
ჯის საქმეში საშეელად.

— არა, ქალბარონო: არ ვიცოდი. მაღლობა  
ლმერთს, მამა-თქვენი გამხიარულდა.

— დიაბ, ახლა სულ სხვაა. დილით, როცა  
სალაშს გაძლევდი, გაიღიმა, — სთქვი დეამ და  
მისი დინჯი სახე ლიმილად გადაიქცა. — ეს პირველი გაღიმებაა  
ძლიერ დილი ხნის განმავლობაში. ახლა უკეთ არის, კიაყო-  
ფილია და მინდა დღეობის შესაფერი კარგი სადილი გაუმარ-  
თო. წალი, გეთაყვე, ბაზარში. დღეს სადილად წენიანი, ნა-  
მცხეარი, რამე ტყბილი და მწეანილი უნდა გვქონდეს. მე  
წავალ და ბეკრ ხილს ვიყიდი. შენ ხომ იცი, სიუზეტა, ჩვენ  
ახლა თითქმის მდიდარნი ვართ და ამის გარდა დღეს კიდევ  
მამა-ჩემის დღეობაა.

\* ) იხილე „ნეკადული“, № 5.

\*\*) მოულოდნელი სიამოენება.



— ძალიან კარგი, ჭალბატონო: ყველაფერს, როგორც  
გსურთ, ისე გავაკეთებ, — მხიარულად უპასუხა მოხუცმა.

— გახსოვდეს, სიუჩეტა: მამას არ უთხრა. მინდა ყველა-  
ფერი ისე მოვაწყო, რომ მან არ იკოდეს. მინდა მოულოდ-  
ნელად დასიამოვნო. შენ კარგი სალილი გააკეთე; მე სულიას  
გავშლი. ფილიპე ყვავილები დამპირდა და სელინამ დღეობი-  
სათვის — ნამუშავი. მხატვრისაგან რომ დავბრუნდები, ყვე-  
ლაფერს მოვიტან. მამას ნუ შეაწუხებ. მას მხატვრის განსვე-  
ნებული ბავშვის შედალი ონი იქნა შეკვეთილი და არა სცა-  
ლია: ბავშვის ფოტოგრაფი ული სურათიდან იღებს ქანდაკე-  
ბას. რა მშვენიერი ბავშვი ყოფილა! დაამზადებს თუ არა  
მამა შედალიონს, მე მხატვარს წაუღებ და ის ბევრ ფულს  
მოგვცემს. საბრალო მამა, რამდენი ხანია დაბადების დღე არ  
უდღესასწაულია! მე მინდა დღეს თავი ბედნიერად იგრძნოს.  
აბა ახლა მთავრის ქუჩაზე გავიქცევი. მოშეცი კალითი ნამ-  
უხერისა და ყვავილებისათვის.

რამოდენიმე კვირის განმავლობაში ფილერეს ქუჩაზე პა-  
ტარა სახლში დიდი ცელილება მოხდა. ღარიბ მოქანდაკისათვის  
დიდი შედეგი მოჰყევა პატარა შემთხვევებს. როგორც იყო მისი  
იშვიათი ნიჭი იცნეს. დატანჯულმა ივანებულმა ეს დააფასა  
თავისი დასნეულებული გონებით და ორივე ხელით მოეპი-  
და მას, როგორც მხსნელ ღუზას. თითქოს ამ შემთხვევამ  
მას ახალი ცხოვრება და ახალი იმედები მიანიჭა. თავის ხე-  
ლებში იშან იგრძნო ძალა, შეძლება. თავისა და იმდენ ხანს  
ყველა უბედურების მოთმინებით ამტანი პატარა ნაზი აჩსე-  
ბის გამოსაკვებად.

მისი ოთახიდან გაპქრა ერთი შეორებე მშვენიერი ჯგუ-  
ფები და ქანდაკებანი, რომლებმაც ბატონ ეინსეტორის სახე-  
ლოსნოში დამფასებელნი და თაყვანის მცემელნი მოიპოვეს.  
აღრე დაასაკებული, თავისი ნორჩი მხრებით გაჭირვების ამ-  
ტანი გოგონა ფულების დაზიგვას იყო შეჩერული.

გასაკვირიც არ იყო: ხშირად პურის საყდლათ ფული  
არ გააწნდა; ახლა კი მაგილის ყუთში ბლობად ქაღალდის ფუ-  
ლი ჰქონდა. თავს ძლიერ მდიდრად სოფლიდა, მაშესადამე სად-  
ლესაწწალო სადილის გამართვაც შეეძლო.

ფილოპე მთავრის ქუჩაზე სახელოსნოში დახვდა დება. ის ეინსვოტრის ახლოს იჯდა. მის წინ ახალ-დაკრეფილი, ხენდ-როთი საესე თევზი იღვა და ბატონი ეინსვოტრი გატაცებით ექცევის ხატავდა.

მხატვრის სახელოსნოში პირველ მისვლიდანვე ფილიპე-  
სათვის ახალი ცხოვრება დაიწყო.

ქალბატონში ეინსკორტმა ბავშვი წრფელის გულით შეიყვა-  
რა. ბატონშა ეინსკორტმაც, როცა ზამჩნია, რომ ცოლი ერთობა  
და დღითი-დღე კეთულიას, ყოვლის მხრივ ხელს უწყობდა მათ  
შეგობრობას. ყოველ დღე რაიმე ახალ მიზეზს იგონებდა, რომ  
ბავშვი რაც შეიძლება შეტი დრო გაეჩერებინა სახელოსნოში.  
რაშედნიმე სურათი რომ დაასრულო, ბავშვს ხატვის სწავლე-  
ბა დაუწყო. ბავშვმა თავისი ტლანქი ნახატები მოიტანა, რო-  
მელშიდაც მხატვარმა ბავშვის ნიჭის ნიშნები იღმოაჩინა. რად-  
განაც ტუანეტას ძალიან უნდოდა ბავშვს ხატვა ესწავლა, მხა-  
ტვარიც დიდი სიამოვნებით შეუდგა ქვეითნა და აზრიან მო-  
წითესთან შეცადინ ეობას.

მხატვარი და მისი ცოლი ხშირად ლაპარაკობდნენ. ბაგ-  
შეის მომავალ ბედზე. თვითეული მათგანის გულში რაღაც გა-  
მოურკვეველი სურვილი ინახებოდა, მაგრამ პირველად ამის  
თქმას ვერც ერთი ვერ ჰბედავდა. ერთი კი ნათელი იყო:  
ბაგშეი საჭირო იყო იმათი ცხოვრების შესახებად; დღეს  
თითქოს სინათლე ემატებოდა, როდესაც ის მოდიოდა. და  
როცა წავიდოდა, თითქოს მათთვის მზე ჩაესვენებოდა. შეი-  
ყარეს დაც, მაგრამ ის ისე დაახლოებული ირ იყო იმათთან  
როგორც ფილიპე, რომელიც საშინლად ჰგავდა იმათ განსცე-  
ნებულ ვაჟს—იგივე თვალები, თმა, ხმა, იგრვე სრული და



იგივე შესახედაობა, როდესაც ბავშვი იმათ უპქეროდა, რა გასაკირია, თუ ეინსეორტებს ბავშვის სამუდამოდ თავისთან დატოვების სურეოლი დაებალათ. სიცხე ღიოჟირა და ისინი წასევლაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ბავშვთან დამეგობრების გაშო წასევლას დღითი დღე ავგიანებდნენ.

გამოჩნდა თუ არი კარებში დეას ბრწყინვალე სახე, ფრ-ლიბე წამოიქრა და დეასაკენ გაუშურა.

— ამა ყვავილები მამა შენისათვის! — სთქვა მან და დეას სურნელოვანი ყვავილების თაიგული გაუწოდა. — თაიგული გამოგზავნა დედილომ და ყოველივე სიკეთე გისურვათ.

დეამ მადლობა გადასუხადა და ყვავილები ფრთხილად კა-ლათში ჩასდო.

— ამა შენ ხენდრო, ჩემო საყვარელო, — მიმართა ქალ-ბატონშა ეინსეორტმა: — ისეთი შალის აღმძერელი ხენდრო იყო, რომ ფილიბემ შენ მოსევლამდის ვერ მოითმინა და თავისი კერ-ძი შექმნა.

— თუ ნებას მომცემთ, სახლში წავიღებ და მამასაც ვაჭ-მევ: დღეს მისი დაბადების დღეა.

— რასაკირველია, შეილო: თუ გსურს, შევიძლია სახლ-ში წაიღო!

ეინსეორტმა პატარა კალათი ხენდროთი იავსო და ყვა-ვილების გვერდით დასდგა.

— საჩუქარიც მზადა გაქვს მამისათვის? — ჰეთხა ბ-ნმა ეინსეორტმა. — მამისათვის ბავშვის ზრუნვა გულში ხედებოდა და ქსიამოვნებოდა.

— არა — ნაღლიანად უპასუხა გოგომ. — მარტო ყვავი-ლები და სელინს ნამუხარი მაქს. მინდოდა წიგნი მეჩუქები-ნა, ბავრამ... წიგნი ოცდა ხუთი ფრანკი ლირს და ამდენის დაზარჯვა მე არ შემიძლია.

ბ-ნმა ეინსეორტმა ლიმილით შეხედა ცოლს.

— ნუ იდარებ, ჩემო საყვარელო: გამა — შენი თავის დაბადების დღეს წიგნსაც მიიღებს. ეს იქნება შენი საჩუქარი.

შენ ისე იჯექი ხატუის დროს, რომ მე თაქმ შენგან ჟავალუ-  
ბულად ესთვლი და გაძლევ წიგნს ჩემგან მოცემულ გასა-  
მრჯელოს შესავსებად.— მან დეას ლამაზად შეხვეული და  
ლენტ-შემოქრული წიგნი გაუწოდა.

დეამ წიგნი უსიტყვოდ ჩიმოართვა. მოულოდნელობისა  
და სიხარულისაგან მას ნაზი ლოცვები გაუბრწყინდა და თვა-  
ლები გაუფართოვდა.

— თქ, როგორ გაეხარდება მამას! — სთქვა მან: — მე ახლა  
არ შემიძლია, ბატონო, მადლობის გადახდა, არ შემიძლია! ..  
თვალთაგან ლაპა-ლუპით ურემლები წამოსცვივდა, კალათს წე-  
ლი წავლო და ოთახიდნ გვიარდა.

როდესაც დეამ ხახლში მიიჩინა, მამა ისევ ისე ყველა-  
ფერზე გულგრილი, მოხრილი მუშაობდა. დეას არაფერი არ  
უთქვაშა. იმისი სახე დიდ სიხარულს გამოხატავდა: ფერმკრ-  
თალი და აღელევებული იყო.

— სიუზეტი, საღილის რა ისმის? — მოუთმენლად იკით-  
ხა მან სამზარეულოში.

— ჩქარა იქნება, ქალბატონო! ოქროს ფხალი ვიყიდე;  
პირველად შემოვიდა ბაზარზე. რა შევენიერი ხაქაპური გამო-  
ვიდა! მერე რა იაფად! ამას გარდა პომოსათვისაც მოზდილი  
ხორცის ნაკრები მომცეს.

— მე ხენდრო შექს: ქ-ნმა ეინსვორტმა მომცა. რას  
იტყვის მამა, თოუა ყველაფერს ნახავს. წიგნი, წიგნი!

ის ისეთი აღელევებული იყო, რომ მისე პატარა აკანკა-  
ლებული ხელები ძლიერ იქერდნენ ფაიფურს და ვერცხლს,  
ამ ყოფილი დიდების ნაშთებს. ბოლოს ყველაფერი მზად იყო.  
დიდი ხნის სასურველი წიგნი მამის ჭურჭელთან იდო. მავი-  
დის ერთ თავში ხილი იღვა, მეორეში — ყვავილები. სუფრის  
შეა ალავს სელინას გაეკეთებული საუცხოო ნამცვარი ამშევ-  
ნებდა. დეა მოუთმენლად ელოდა საღილის გამოტანის; ის და-  
უცხრომლად დაფრინავდა სასაღილო ოთახიდან სამზარეუ-



ლოში, თანაც სუფრას ათვალიერებდა და ასწორებდა, ნანაძ  
სხისიამოვნი წიმი არ დადგა — შეიძლებოდა სუფრაზე მამის მი-  
პატიება.

— მამა, იცი. რომ დღეს შენი დაბადების დღეა? — მხიარუ-  
ლიად ეკითხებოდა გოგონა მამის და თმასა და დაუდევრად შე-  
სკენილ ყელსახეცეც უსწორებდა. — მე მინდა შენ ლამაზი იყო;  
მე შენთვის საჩუქარი მაქვს, დიდი საჩუქარი!

მხატვარმა სამუშაო იარალი დასრუ, გამალიდებელი შეუშა  
მოიხსნა და გულგრილად იდგა.

— ჩემი დაბადების დღეა, ჩემი ძეირდასო? არა, სრუ-  
ბით არ მასხოვდა: ჩემთვის ასლა ყველა დღეები ერთია.

— მაგას არ იტყვი, მამა, როცა ნახივ-რა მოვიტანე.  
დღეს სამგალითო ბეჭნიერი დღეა; ასეთი დღე დიდი ხანია  
არ გვინახავს!

ბავშვმა კარები მხიარული გაალო და თავშომწონედ მიი-  
ყვანა მამა ლამაზიად მორთულ სუფრასთან. ყვავილების და ხი-  
ლის დანახეაზე მამას სახე სიმოვნებით გაუბრწყინდა და ისე-  
თი ალერქით დაუწყო გოგონას ლაპარაკი, რომ ბავშვს სიხარუ-  
ლისაგან გული კინალამ წაუფიდა.

— მართლაც, ჩემი საყვარელო პატაწავ, ეს ჩემთვის დი-  
დი საჩუქარია. მისთანა დღესასწაულს სრულებით არ მოვე-  
ლოდი.

ლაპარაკის დროს მისი ყურადღება წიგნმა მიიპყრო. მან  
სწრაფად წიგნს წაავლო ხელი, ქაღალდი შემოაგლიჯა და ნა-  
ხატებს ხარბად დაუწყო თვალიერება.

— ჰაშეტის გამოცემა! სად იშოვნე? ჩემია? ჩემი სამუ-  
დამოდ?

— დიახ, მამა, შენია. ბ-ნშა მხატვარმა მე მომცა ხატ-  
ების დროს წყნარად ჯდომისათვის, მე კი შენ გაწუქე. ეს ჩე-  
მი საჩუქარია შენი დაბადების დღეს.

— შენ კეთილი ბავშვი ჩარ, დეა, — ერთი ნახატის ხეზე  
თვალ-მოუშორებლად სთქვა მამამ! — რა შევენიერია! ეს საუ-  
ცხოვ ჯუფი იქნება.

— აბა, საყვარელო მამი, დანარჩენს ც შეხედე: ფილიპეს  
დედამ ყვავილები გამოგიგზავნა; სელინამ კი ის ეს ნაცხვარი  
და ქალბატონშა ეინსცორტმა ხენდრო. ნუ თუ ყველა ისინი  
საყვარელნი არ არიან?

მხატვარმა წიგნს თვალი მოაშორა და მაგიდას მოავლო.

— დიახ, ჩემი ძეირდასო, ყველაფერი საუცხოვოა, და  
შენი მეგობრებიც ძლიერ კეთილნი არიან, მაგრამ წიგნი, წიგ-  
ნი — ყველაზედ უკეთესია.

საღილის წინ დეა ყოველსავე ღონეს ხმარობდა მისი ყუ-  
რადლება წიგნის ხევი მოეშორებია. ის უმაღლე სკამდა გემ-  
რიელ საჭმელს და წიგნის მიმზიდველ ფურცლებს თვალს არ  
აშორებდა. ის ბედნიერი იყო თვისებურიად და დეაც კმაყო-  
ფილი დარჩა.

### XIII

#### ფილიპეს განსაცდელი.

მხატვრის საღლეობო საღილის მეორე დილით ფილიპე  
იყვნება იჯდა და მიმა უოზეფის „შეილებთან“ თამაშომდა. ჯერ  
კიდევ ადრე იყო და ოჯახის საჭმელებში გართულ ტუანეტას  
ეგონა ბავშვი მეცალინობსო. წიგნი და დაფა გალიასთან მა-  
გიდაზე იდვა. მაგრამ ფილიპეს ფიქრადაც არ მოსვლია შიგ  
ჩიეხედა; მას მეცალინეობა არ შეეძლო, როდესაც მის თვალ  
წინ მხიარულად დარბოლენენ და ხტუნობდნენ საყვარელი ნა-  
დირები. „არ უნდა დავავიწყო ის, რაც მათთვის მამა უოზეფს  
უსწავლებია“, — ფიქრობდა ბავშვი: — „ყოველ დილით უნდა  
ვიმეცალინო მათთან“.



გრილი და წყნარი დილა იდგა; გზებიც თოვლივით თეთრი ყვავილებით დაბურული იყო. მხებ ის იყო პიტტოსპორტის წვერი გაანათა. იასამანის ყვავილებზე დილის ნამის წვეთები ციმუმებდა, ბალაბ-ბულახი ილმასებად ბრკუვინავდა და ქარის დაბერვის დროს მხებე იმობას ქსელი ცქრიალებდა.

რძე და ფინჯანი სიმინდის ქაშით ფილიპეს წინ იდგა. აქვე მოფრნილიყვნენ თავისი წილის მისაღებად მაიორი და მეალობელი, მაგრამ საჭმელზე ბავშვი ისე ცოტას ფიქრობდა, როგორც წიგნზე. ის ძლიერ დააინტერესა საყვარელ არსებათა შორის მოსალოდნელმა ჩსუბის ნიშნებმა; როგორც ეტუფობდა, ჩიტები შურის თვალით უცქეროდნენ მამა ქოშეფის „შეილებთან“ ფილიპეს მეცადინეობას. ისინი ჰფრენდნენ გალიის ირგვლივ და ნისკარტს სცემდნენ, მაშინ როდესაც მისი პატარ-პატარა მდგმურები ერთი კუთხიდან მეორეს ეხეთქებოდნენ საშინელ ნისკარტებისაგან თავის დასაფარავდ.

ეს იმდენად სასაცილოდ ეჩვენა ფილიპეს, რომ მან ხმამაღლია ხარხარი მორთო, რამაც ტუანეტა ბანზე გამოიყვანა.

— ოჲ, დედილო! — ყვიროდა ფილიპე: — ერთი ამათ შეხედე. მაიორს და მგალობელს როგორ შეშურდათ.

— „შეილები“ შეშინდნენ. შეხე — საწყლები როგორ დარბიან და კანკალებენ. — ამ სიტყვებით ტუანეტამ იღელვებულ ჩიტებს მინდორში მარცვალი გადაუყრია. — ამათ წალით და კენკეთ. „შეილები“ უკანა ფეხზე შესდგნენ და ჩიტებს დინჯად დაუწყეს ცქერა.

— რა საყვარელნი არიან! — სთვეა ფილიპემ. — მე ვფიქრობ, რომ მათ მაშა ქოშეფი არ ენატრებათ.

— მეც ასე ვფიქრობ, — ქმუნვით უპასუხა ტუანეტამ. ყველაფერს იგრე სკირს: თვალებს მოშორდა, გულსაც გადაავიწყდა. მან მოიოხრა და იქვე ძველ საქანელა საერებელში

ჩაჯდა. მე ხშირად ვფიქრობ, ჩემო ძვირფასო, რომ როდესაც  
მოკვდები, ჩქარა დამივიწყებ.

— შენ არ მოკვდები, დედილო,— მტკიცე ხმით სთქვა  
ფილიპემ. მაგრამ ასეც რომ მოხდეს, არას დროს არ დაგივიწ-  
ყებ. რომ მინდოდეს, მაინც არ შემიძლია დავიწყება.

ტუანეტამ მკრთალად გიღიმშა.

— შენ არ მოისურვები, საყვარელო, მაგრამ რამოდენი-  
მე ხნის შემდეგ, ვერც კი მიხვდები, ისე ნელ-ნელა დაივიწ-  
ყებ დედილოს. მის ალაგის ვინმე სხვა დაიჭერს. მე ხშირად  
იმ ჩრდილოეთელ უცხოელებზე ვფიქრობ; თითქმის სრულებ-  
ბით შეგიპყრეს. მე კი არ გამტყუნებ, შეილო: ისინი ძლიერ  
კეთილნი არიან, და მხატვარი კიდევ შენთან მეცადინეობს.  
თდესმე ალბად შენ წაყვანას მოისურვებენ. წაჲყვები, ფილი-  
პე, იმათ?

მის ყოველთვის წყნარ აუჩქარებელ ხმაში შური გაისმა  
და გამხდარი შევი სახე ბიეშევის პასუხის მოლოდინში მოუს-  
ვენრობამ მოიცე.

— არა, დედილო, რასაკვირველია არ დაესთახმდები! მე  
არ დაგტოვებ არაფრის გულისათვის. მე ბელნიერი ვარ აქ—  
ჩიტებთან, კვავილებთან და მამა ქოჩეფის „შვილებთან“. მე  
სხვა ალაგის შეყვარებას ვერ შევსძლებ და არც შევიუვარებ  
სხვას ისე როგორც შენ მიყვარხარ ჩემო დედილო.

ტუანეტას ნალვლიანი თვალები სიხირულით გაუბრ-  
წყინდა.

— რა მიხარია ამის გაგონება, ჩემო პატარავ! მე მოელი  
ჩემი სიცოცხლე შენთან გავატარე; ეხრუნავდი, როგორც  
შემეძლო და ვსულილობდი შენთვის მხოლოდ კარგი მესწავ-  
ლებია. შენ სწავლის კიდევ მოასწრებ მე კი... შენი ახლა  
გაშვება არ შემიძლია, არ შემიძლია შენი მოშორება; მაგ-  
რამ მე მოვხუცდი... მოვხუცდი... და შეიძლება... კარგი...  
ახლა ისაუზმე და სახელოსნოში წასელამდის ცოტა მაინც  
იმეცადინე.



ბატონი ეინსეორტი რაღაცაზე გულდასმით ელაპარაკე-  
ბოდა ცოლს, როდესაც ფილიპე თახაში შევიდა.

— ჩემთან მოლი, ჩემო ძეირფასო, — უთხრა, ქალბატონმა  
ეინსეორტმა ბავშვს. ერთი ხელი სიყვარულით ბავშვს მოხევია  
და ახლოს დასვა. — შენთან საქმე ვვაქვს. ჩვენ იქედან ჩქა-  
რი წასელის ვპირებთ, მაგრამ, ჩემო ძეირფასო ბავშვო, შე-  
ნი მოშორება გვიმტიმს, გინდა ჩვენთან წამოსელა?

ფილიპე სულ მთლიალ აენთო და თვალები გაუბრწყინ-  
და.

— ამ, მე არ მინდა თქვენი წასელა! მოშორება, მაგრამ  
თქვენთან წამოსელაც არ შემიძლია.

— რატომ, ჩემო ძეირფასო? ჩვენ ყოველ ლონეს ვიხმართ,  
რომ შენ ბელნიერი იყო.

— სწავლა შეგეძლება, ხატვას შეისწავლი, — დასძინა ბ-ნმა  
ეინსეორტმა.

— იმოგზაურებ, იხალ-იხალ ქვეყნებს ნახავ. ზაფხულს  
მთებში გავატარებთ, საკუთარი ცხენი გეყოლება და შეგეძ-  
ლება ბ-ნ ეინსეორტთან ისეირნო. — არწმუნებდა ბავშვს ქ-ნი  
ეინსეორტი.

— მე ძლიერ მინდა მგზაერობა, მთების ნახვაც: თვის  
დღეში არ მინახავს მთები და საშინლად მინდა ცხენი, — გა-  
ბედულად სთქვა ფილიპემ და თვალებიდან ცრემლები მოიწ-  
მინდა. — მაგრამ წამოსელა არ შემიძლია. არ შემიძლია დე-  
დილოს დატოვება, ის მოხუცდა: მასთან უნდა ვიყვე მისთ-  
ვის ვიზრუნო

— თუ შენი დედილო დასთანხმდა? თუ დაინახა რომ  
შენთვის აგრე სჯობია? და თვითონაც მოინდომა შენი ჩვენ-  
თან წამოსელა? — შეეყითხა ქ-ნი ეინსეორტი.

— დედილო არ ისურვებს, — სთქვა ფილიპემ. — აქ კიდევ  
დეაა, მისთვისაც უნდა ვიზრუნო; ამას გარდა მე კიდევ მამა

ეოზეფის „შეილები“ მყავს, რომლების დატოვებაც არ შემიძლია,—თავმომწონელ დასძინა ფილიპემ.

ბ-ნმა ეინსეორტმა ცოლს შეხედა, თითქოს იმისავან ელის გამხნევებისო. ბავშვის ერთგულება იმათ იამათ, თუმც პირადად ისინი სასოწარკვეთილებაში ჩაიარდნენ.

— ჩემი ძეილფასო ბიჭიკო,— სთქვა ქ-ნმა ეინსეორტმა ცოტა სიჩუმის შემდეგ.— დედა რომ არ იყოს, წამოხვიდოლი? გიყვარვართ ისე ძლიერ, რომ ჩერნთან დარჩე?— იმის დატან-ჯულ გულს ბავშვის სიყვარული სწყუროდა.

— თუ არ დედილო, წამოვიდოდი,— მტკიცედ უპასუხა ბავშვია.— მე მინდა ხატვის შესწავლა და უყელაფრის ნახვა, და .. და .. თქვენ ისე კარგად მეპყრიბით. ძლიერ ვწუხვაორ, რომ მიღიხართ... მისი თვალები ისევ ცრემლებით აიგსო. — მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ არ შემიძლია, არ შემიძლია დე-დილოს დატოვება.

— ვხედავ, ჩემი საყვარელო, რომ არ შეგიძლია წა-მოსვლა,— ალერსით უპასუხა ქ-ნმა ეინსეორტმა,— მაგრამ ჩენ ძლიერ გვიყვარხარ და ნუ დაგვივრწყებ. მომავალ ზამთარში დავბრუნდებით და ისევ სიყვარულით გნახვთ.

## XIV

### სამუდამოდ თქვენთან მოვედი

რამდენიმე დღე ფილიპე ილარ მოსულა ეინსეორტის სა-ხელოსნოში და ცოლ-ქმარი ნათლად გრძინილნენ უბავშეობას.

— ვერ გამოგია, ბავშვი რად იგვიანებს,— ამბობდა და-ლონებული ქ-ნი ეინსეორტი:— იცის, რომ ხეილ მიედივართ, და რამე რომ არ შემთხვევოდა, უკეცელად მოეიდოდა.

— სელინასთან წავალ,— სთქვა ბ-მი ეინსეორტმა და ქუ-დი ხელში აიღო.— ბავშვი თუ იქ არ არის, სელინას გავ-



გზავნი.—ამ სიტუცებით კარი გააღო და იქვე ფილიპეს შეეხებია. პირველად ბ-მა ეინსერტრმა ტომრითა და დიდი კოლა-თით ხელში ჩრდილში მდგომი ლილიბელი ვერ შენიშნა; ვერ შენიშნა ისიც, რომ ფილიპე ძლიერ გაფიორებული და დაღონებულია.

მოპერა თუ არა ყური ქ-შა ეინსერტრმა ქმრის შეეკითხების: — ფილიპე შენა ხარო? — მაშინევ სიხარულით მისკენ გაპქანდა, მაგრამ შეხედვისათანავე უკან დაიწია.

ქალმა ერთხაშად შეამჩნია, რომ ბავშვი სულ მთლად შევებშია, რომ მის ჩალის ქუდს შავი კრეპი ცერავს და თვა-ლებშიაც ველური, შემინებული გამომეტუცელება იქს აღ-ბეჭდილი, როგორც დაბნეულ, უმწეო ცხოველს. ბავშვი თავის წლოვანებაზე უფრო დიდათ გამოიყურება და მისი ბავშეური სიცოცხლე თითქო გამქრალიყა; ლოყები გაპუითრებოდა და ცრემლისაგან იქ-იქ ასწითლებოდა. კირსა და ცრემლებში გატარებულ რამდენსამე დღეს ბავშვი ძლიერ გამოეცვალა. ის დაღაპარაკებას სცდილობდა, მაგრამ ტუჩები უკან კალებდა, და ქვითინი, რომელსაც იყავებდა, ურუან ტელად უვლიდა მთელ სხეულში. ერთ ხელში მოწითალო ხელსახოცში შეხვეული რაღაც ნიერი ეპირა, მეორეში—ტუანეტას ერთი თეთრი გვირგვინი, წითელი წარწერით: „დედა-ჩემს“.

როდესაც ფილიპე ოთახში შევიდა, ლილიბელიც შეჰყა, ტომარი და კალათი იატაკზე დასდგა და, ხელებ-დაშვებული, კედელს მიეყრდნო.

ქ-ნი ეინსერტრი ფილიპეს გარდა ვერაფერს ხედავდა. რამდენიმე წუთს ის თანიგრძნობით შეჰყურებდა ბავშვს, შემდეგ თავისკენ მიიზიდა და გულში მაგრად ჩიიკრა.

— საბრალო ჩემო ბავშვო, ჩემო საყვარელო! მიამბე — რა მოხდა, — ალერსით უთხრა მან.

ფილიპემ ქვითინს სძლია, თვალები მოიწინდა და დაიწყო:

— დედილო მოკვდა და მე თქვენთან სამუდამოდ მო-ვდი.

— შენი დედილო მოკვედა? როგორ, როდის? — ერთხმად წამოიძახეს ენისცორტებმა.

— როცა მე მეძინა: ლამე გარდაიცვალა. მას ეგონა, რომ მე წავიღოლი, დავტკვებდი, და მომასწრო: წავიდა და მე დამტოვა... — ამბობდა ბავშვი და თავს ძალას ატანდა, რომ არ აქვთინებულიყო და გარკვევით და წყნარიდ ეთქვა სამწუხარო ამბავი. — დედილო ძლიერ იდრე დგებოდა; მე უცლიდი, როგორც უოველთვის, მის მოსვლას ჩემ გასაღვიძებლად. როცა დაიგვინა, გავიქეცი მის ოთახში. დედილოს ჯერ კიდევ ეძინა. დაუწყე ლვიძება, მიგრამ არ იქნა — ვერ გავაღვიძე. გავიქეცი ექიმთან. ექიმი მაშინვე წიმომყა და სთქვა... სთქვა... რომ ძეირუასი დედილო არას დროს აღარ გაიღვიძებსო! ის ისე მოკვედა ძილში, რომ ვერ მითხრა: კვდებით. არ გამომოხვებია და სიკედილის წინ ჩემთვის არაფერი არ უთქვამს. მე სელინას მიერშეურე; ვიცოდი — მოვიდოდა. მამა ერზეფი ხომ წავიდა. მამა ერზეფი დედილოს კეთილი მეგობარი იყო. დედილო ყოველთვის იმას მიმართავდა ხოლმე, როდესაც ამერ უბედურება შეემოხვევოდა.

— ჩემო საყვარელო, ჩემო სიცოცხლევ, ასტომ ჩევნ არ მოგვაშურე? — შეეკითხა უნებლივდ აცრემლებული ჭინისცორტი: — ჩევნ დაგებმარებოდით.

— დედილო მარტო სელინას იცნობდა და მეც თქვენზე არ მიუიქრნია. მე პირდაპირ მასთან გავიქეცი და ის და ლილიბელი ვანუწყვეტლივ ჩემთან იყვნენ. გუშინ გავისვენეთ დედილო წმინდა როხას სისაფლაოზე. მას არა-ერთხელ გამოუთქვამს იქ დასაფლავების სურვილი. იქ ისეთი მყუდროებაა. მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ დედილოს სამარხი ფული მაგიდის ყული მაგიდის ყულში ჰქონდა. დედილომ ერთხელ მაჩევნა და მითხრა — ეს ჩემი სამარხი ფულიაო. ჩევნ ორი ეტლი დავიქირავეთ: ერთში წმ. მარიამის ეკკლესიის მღვდელი — მამა მარტინი — იჯდა; მეორეში — მე, დეა, სელინა და ლილიბელი.



მე... მე... დავკრიფე ბევრი ვარდები დედილოს საფლავზე  
დასაფენიდ. ჩეტი არც ყვავილი და არც გვირგვინი არ და-  
სჭირდება.—საშინლად შეწუხებული ფილიპე გრძნობდა, რომ  
ეს არის მისი უკანასკნელი პატივისცემა მის სათაყვანებულ  
დედილოსადმი, თავი ქ-ნ ენისეორტის მხარს მიაყრდნო და  
გულ-ამოსკენით აქვთინდა.

ამ დროს კალათიდან ძალის გაცხარებული ჟეფა, კა-  
ტის კნავილი და ფრინველების ფრთხიალი გაისმა.

— თქვენ ნუ ხმაურობთ მანდა! — დაიყვირა გულმოსულმა  
ლილიბელმა და კალათში ფეხი ჩამკრა, რამც უარესი ალია-  
ქოთი გამოიწვია.

ქ-ნი ენისეორტი გაოცებული წამოვარდა.

— იქ რა არის? — ფილიპეს ბარგზე მიუთითა და სთქვა  
შან.

— ჩემი საყვარლი ცხოველებია, — ცრემლების წმენდით  
სთქვა ფილიპემ. — ლილიბელმა მოიყვანა ლეკვი, კატის კნუტი  
და კალათით ექვსი წიწილება. — ეს წიწილები დედილომ გა-  
ზარდა. კრუხმა კვერტხი უჩინარ ალაგას დასდო. დედილომ  
ძლიერ მიაგნო. დედილომ დაზარდა ისინი და მე მათი და-  
ტოვება არ შემეძლო... აქ მამა ერთხევის „შვილებია“, — მან  
მოწიოთალო ბოხხა აჩვენა. — ეს გვირგვინი კი მინდა ძვირფასი  
დედილოს სახსოვრად სამუდამოდ შევინახო. მე ჩემი საყვარ-  
ლების დატოვება არ შემეძლო და მოვიყვანე აქ; მინდა თან  
წამოვიყვანო.

ბ-ნ ენისეორტს გაეღიმა, თუმც ყელში მომდგარ ცრემ-  
ლებს ძლიერ იკავებდა. ბაინ ალექსით წარმოსთქვა:

— კეთილი, ჩემო საყვარელო. ჩენ ახლავე ვნახავთ, რო-  
გორ შეიძლება შენი საყვარელი ცხოველების დაბინავება. ზა-  
გრამ ჯერ ეს მითხარი — მართლა გადასწყვიტე ჩენთან წამო-  
სვლა?

— დიახ, წამოვალ. მე არ შემეძლო დედილოს დატო-  
ვება, მაგრამ ახლა მისთვის საჭირო აღარ ვარ, და აქ არა-

ფერი არ მაკავებს. უმისოდ აქ ცხოვრება არ შემიძლია; სხვა არავინ მყავს და მამა ერზეფიც წასულია... წამოვალ თქვენთან და ვიქნები იქ, ხანაშ ის დაბრუნდება და მეტყვის, როგორ მოვიქცე. სელინამ ყველაფერი დაკეტა. აქ მხოლოდ მაითარი და მგალობელი რჩება. ვფიქრობ, რომ ისინი არ დამივიწყებენ. იმედი მაქს—ჩემ დაბრუნებამდის აქ იქნებიან. ახლა კი,—საქმიანობის კილოთი განაგრძო მან, თითქოს ყველა კითხვა გადასწყვიტა, —თუ გვეტყვით—სად მოვათხესოთ, მე და ლილიბელი ცხოველებს გამოუწევებთ. აქ კი,—ტოშარაზე მითითებით სთქვა მან,—ჩემი ტანისამოსი და თეოტრეულია; ჩემი სალკეთებო ტანისამოსი; მაგრამ ახლა არ ჩვიცვამ. ახლა შევებში ვარ; ქუდზე ეს კრეპი დეამ გამოკეთა. მისი დედის სიკედილის შემდეგ თვითონ ატარებდა. რა კეთილია!

ქ-ნი ეინსეორტი ფილიპეს გადაეხვია და კიდევ ატირდა; მისმა ქმარმა კი პირი მიიბრუნა და უნებლივდ მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.

შეატვარმა არ იცოდა — რა ექნა ბავშვის საყვარელი ცხოველებისათვის. ეს საქმიანდ ძნელი საკითხი იყო, და იმისი ერთბაშად გადაწყვეტა არ შეიძლებოდა. ლილიბელი კალათით ეზოში მცხოვრებ მეწალესთან გაგზავნა, რომელმაც იყისრა დროებით ცხოველების „ბეღნიერი ოჯახისათვის“ ზრუნვა. მამა ეოზეფის „შეილები“ კი შინ დაიტოვეს. ბარონი ეინსეორტი კარგად გრძნობდა, რომ მისი რჩევა იმათი გაცემის შესახებ ფილიპეზე არ იმოქმედებდა. ცხადი იყო — პატარა გალია პაწაწერინა ცხოველებით მოგზაურობაში თან უნდა წაეღოთ.



## XV

## ძვირფას საფლავთან გამოთხოვება

ბ-ნი და ქ-ნი ეინსვორტები იძულებული შეიქმნენ წასკლა ერთი ორი დღით კიდევ გადაედოთ: მოულოდნელად ოჯახის შემატების გამო ცოტა რამ სამზადისი იყო საჭირო. საჭირო იყო ფილიპესათვის ტანისამოსის ყიდვა, რადგანაც ახლანდელი იმისი ტანისამოსი სრულებით არ შეეფერებოდა იმ არისტოკრატიულ სახლს ადირონდეკში, საღაც მათ ზაფხული უნდა გაეტარებინათ. საჭირო იყო ლეკვის, კატის კნუტის და წიწილების როგორმე დაბინავება და მრავალი სხვა კითხვაც ახლავე იყო გადასაწყვეტილი.

ფილიპე იმათ უყვარდათ და გამოუთქმელად უხარიდათ, რომ იგი სამუდამოდ მათთან დარჩებოდა, მაგრამ როდესაც ბავშვისათვის ზრუნვა საფეხბით იმათ დაეკისრათ, პასუხის შეგებლობის შეეშინდათ.

— ის საყვარელი ბავშვია, და მე პედიკი ვარ, რომ ჩევნთან რჩება, — ამბობდა ქ-ნი ეინსვორტი. — მაგრამ ახლა, როდესაც ის უკვე ჩევნია, რაღაც ექვი მებადება...

— მართლა სერიოზული საქმეა სხვისი ბავშვის შეილად აყვანა, განსაკუთებით მაშინ, როდესაც მისი მშობლების არაფერი იცი, — უპასუხა ფიქრებში გართულმა ბ-ნმა ეინსვორტმა. — რას იტყვის დედა? მე დარწმუნებული ვარ, რომ არ ესიამოვნება. შენ იცი, ლაურა, დედა როგორი ცრუმორწმუნეა?

— მცონია, რომ არ დაგვიშლის, რა კი ჩევნთვის ის ძეირუასია. ჩევნ ცოტა მწუხარება არ გამოვეიცლია, და თუ ეს საყვარელი ბავშვი ჩევნი პაწიწის დაკირგვის მწუხარების შეგვეიმსუბუქებს და გვანუგეშებს, დედას კიდევაც უნდა გაუხარდეს. ყოველ შემთხვევაში — რისთვის უნდა დავეკითხოთ დედა-შენს, — დასძინა ცოტათი გაბრაზებულმა ქ-ნმა ეინსვორტ-

მა.—ჩვენ თეითონ შეგვიძლია გადაეწყვიტოთ, თუ რა გვი-  
ჯობს ამ შემთხვევაში.

— რასაკეირველია, ძეირფასო, ეს ჩეენი ხიკუთარი საქ-  
მეა. მგონია, რომ ჩეენთვისა და ბავშვისათვისაც ეს უკეთე-  
სია. საბრალო მიტოვებული პაწია არსება... ისე სასიამოვ-  
ნოა მისი ნდობა ჩეენდამი, და მასთან იკი, საყვარელო ლა-  
ურა: უკეთესია, ნათესავები რომ არა ჰყავს. ჩეენ არ ვიცით—  
ვინ იქნებოდნენ ისინი და შეიძლება კიდევაც დაეზალით ჩეენ-  
თვის ბავშვის აყვანა. სელინა, რომელსაც ტუანეტა ენდო-  
ბოდა, ირჩეუნება, რომ ბავშვი იბოლია და რომ იმის შესა-  
ხებ არავის არაფერი ხანივიარი არ განუცხადებია. მე დარწმუ-  
ნებული ვარ—აქ რაღაც ამოცანაა, მაგრამ ახლა, როდესაც  
მისი გამზრდელი მოკედა, ამ ამოცანის აღსნა შეუძლებელია.  
ბავშვი რომ მის სიცოცხლეში აგვეყვანა, უკაცებოდი ეს ხელ-  
დუმლო როგორმე გამომერკვია, თუმც სელინს სიტყვით  
ტუანეტა ძლიერ გულ-ჩათხრობილი აღმიანი ყოფილა. ახლა  
კი მგონია შეგვიძლია ის ჩეენად ჩიგსთვალოთ. მას ამ ქვეყ-  
ნად მახლობელი აღარივინ ჰყავს.

— მეც დარწმუნებული ვარ, რომ ის კარგი ოჯახიდანაა; იმდენი კარგი თვისება აქვს. შეტის-მეტად მართალი, გამბედავი და კეთილშობილია; ისეთი ნაზი და წყნარი ხასიათი აქვს, რომ შეგვიძლია ჩვენთვის სასურველ გზაზე დავაყენოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ძლიერ ჩქარა შეითვისებს კარგ მიხერა-მოხერასა და ზნუ-ჩვეულებას, — ამბობდა ჭ-ნი ეინს-ვორტი.

— ბაგშეი ბუნებით ნიკიერია,—დასძინა ბ-ნშა ეინსვორტმა,—მაგრამ არ ვიცი, რა გველენას იქონიებს იმაზე მხატვართა წრე და როგორ განვითარდება ის თავისუფალ ცხოვრების გარეშე, უყვავილოდ, უჩიტებოდ, სუფთა ჰაერმოკლებული და ლაქვარდ ცის უნახევად.



— კარგი მომავლის იმედი ვიქონიოთ, — ქმრის გასამხნევე ვებლად დასძინა ქ-ნმა ეინსცორტმა.

ფილიპეს გადასახლების მეორე დღეს დეა დილით ადრე მიეიდა სიხელოსნოში, მაგრამ ფილიპე იქ ალარ დახვდა; ოთაბ-ში მარტო ქ-ნი ეინსცორტი იყო და ფილიპესათვის მაღაზიიდან გამოგზავნილ ტანისამოსს არჩევდა. დეა იქვე გვერდით იდგა, დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ერთი-მეორეზე უჯრებეს საგნებს — ლამაზ კურთუკებს, შარელებს, პერანგებს, გრძელ, რბილ წინდებს, ქუდებსა და ფეხსაცმელს.

— ყველა ეს ფილიპესია? — იკითხა დეამ სიხარულითა და გაკვირვებით აენთო თვალები.

— ჰო, ჩემო სიყვარელო. შენი აზრით ეს ძლიიან ბევრია? — ღიმილით ჰკითხა ქ-ნმა ეინსცორტმა.

— აქ ყველაფერი ბევრია! მიხარია, რომ ფილიპეს იმდენი ტანისამოსი ექნება. დარწმუნებული ვარ, ჩემ კრეპს ახალ ქუდზედაც გაიკეთებს, და როცა შეხედის, მე გავახსენდები! მე ამ კრეპს დედის სიხოვრად ვატარებდი, და სხვას არაფრის გულისათვეს არ მიესცემდი.

ფილიპე დილით იღრე წავიდო სიხლიდან; ქ-ნმა ეინსცორტმა უთხრა დეას — ფილიპე თავის ბალიდან ტუანეტის სიულავე რამოდენიმე ყვავილის გადასარგავად წავიდა.

— აი ეს ძლიერ კარგია! მეც წავილ და უშველი. მე იქ ხშირად დაედივარ. დედა-ჩემიც იმავე სასაფლაოზედაა და ტუანეტის საფლავი დედისასთან ახლოსაა. იქ ისეთი მყუდროებაა, არხიდან არიფერი ხმაურობა არ ისმის. მარტო ფოთლები შრიიალებენ და ჩიტები ჭიკჭიკობენ, თითქოს ეშინიათ — მძინარეს არ გაედვიძოსო. პირდაპირ იქ გავიქცევი და ყვავილების დარგვაში ვუშველი. ალერსიანი ხმით გამოემშეიღობა პატარი ქალი და ისევ ისე წყნარია გამოვიდა ოთახიდან, როგორც შემოვიდა.

მიაღწია თუ არა პატარა, მყუდრო სისაფლოს, დეა კა-  
რებთან შედგა და მწუხარედ დაფიქრებულ ფილიპეს ცქერა  
დაუწყო. ბავშვი ყველებსა შრგავდა. აქ ყველა ტუანეტას  
საყვარელი ყველები იყო: ია, გვირილა და ნაზი შროშინა.  
მიცვალებულის თავით ზეთისხილის ბუჩქი დაერგო, და ფერხ-  
თით—იასმანი. „გაძახებულზე პირველად ესენი აყვავდებიან“, —  
ფიქრობდა ბავშვი.—როგორ უყვარდა ეს ყველები დედი-  
ლოს!

ტუანეტას საფლავის შორი-ახლოს მეორე საფლავი იყო,  
რომელსაც მწრუნველის თეალი ემჩნეოდა. საფლავი სუმთოად  
თეთრი ზამბახით იყო დაბურული და თეთრი სურნელოვანი  
ვარდებით შემოვლებული. საფლავის შუა ალაგას შუშის ჭოლ-  
ვის ქვეშ მწუხარების ანგელოზის ტურფა ქანდაკება ჩანდა.  
მშენებელი თავი დაეხარა და თეთრი ტუჩები თითქოს ლო-  
ცვის ამბობდნენ.

დეა ამ ქანდაკებას მიცვალებულთა ყველა ძეგლებზე  
უკეთეს ძეგლად სთვლიდა. დეს სახე ძლიერ ჰგავდა ანგელო-  
ზის სახეს. როცა მის გვერდით იდგა გულ-ხელ-დაკრეფილი  
თვითონაც მწუხარების ანგელოზია ჰგავდა.

აიღო მაღლა თავი თუ არა, ფილიპე მოულოდნელად  
ყვავილებში გაფითრებული, ნაღვლიანი და თვალებ-დაშვე-  
ბული დეა დაინახა. მხოლოდ ახლა მიხვდა — რა დაპარგა მან  
და კიდევ რა უბედობა მოელოდა. გული მწუხარებით იეცხო;  
ის ბალახებში დაგმხო, ტალახში მოსკრილი ხელები პირზე  
მიიფარა და მწუხარების მწარე ცრემლები წიმოსცვიდა.

დეა იმ წიმსვე მის გვერდით განჩდა და, დაწოქილი, თა-  
ნაგრძნობით და სიყვარულით ამშვიდებდა:

— ნუ სტირი, ფილიპე, ავრე ნუ სტირი; შენ დედი-  
ლოს რომ შეეძლოს შენი ამ მდგომარეობაში ნახვა, ხომ შე-  
სწუხდებოდა. შემომხედე: მე ხომ არ ესტირი დედის საფ-  
ლავზე?



ნე ხტირი ფილიმე!

— ოჟ, დეა, მე ისე შორს მივდივარ; აქ კი არავინ არ ჩემი, რომ დედილოს საფლავს მიხედოს.

— ნუ სწუხხარ, ფილიმე! მე ვიზრუნებ მისთვის, მევე მოვრწყავ ყვავილებს და გავკრევ ბალაბს; სელინაც მიშველის. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ და ყველაფერი კარგად დაგხედება.

— არ მინდა, დეა, არ შემიძლია წასელა! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ფილიმემ.

— უნდა წახვიდე, ფილიმე. ასე სჯობია. სელინაცა და მხატვარიც ამაში დარწმუნებული არიან. მაგრამ ისევ უნდა მოხვედე, როდესაც მამა ერზეფი დაბრუნდება.

XVI

გამგზავრება

როგორც იყო წასასელელიდ მოემზადნენ. ყველა დაბრ-  
კოლება ძლეული და ყველაფერი ჩილაგებული იყო. ბ-ნა  
ეინსკორტმა ფილიპე აღვილად დაიყოლია „ბელიერი ოჯახი“  
დეასთან დაეტოვებინა და ლილიბელი მათ ხადლ-ბინაზე წაეყვა-  
ნა, სადაც და სიხარულით შეხვდა. და ისინი თავის სახლში  
მოათავესა. მეგვარად ეს საკითხი ყველასთვის სისიმოენოდ  
გადასწყდა. ფილიპე სიამოვნებით სტოვებდა დეასთან თავის  
საყვარელ ცხოველებს და და მიხარული იყო, რომ ფილი-  
პეს საკუთრებისათვის უნდა ეზრუნა.

— დარწმუნებული გარ — ჰომილი მოეფერება იმათ, — ამ-  
შვილებდა და ფილიპეს.

რაც შეეხება ტანისამოსებს, ქ-ნა ეინსკორტმა ფილიპე  
დაარწმუნა, რომ ის მოკლე ტანისამოსები, რომელსაც ის  
მუდამ ატარებდა, ცივ ჰაერში მარ გამოდგება, მათ დაბრუნე-  
ბამდის კი ფილიპე გაიზრდება, ამიტომ სჯობია ლილიბელს  
აჩუქოს, რომლის სარგოც არის. ფილიპე ამაზედაც სიხარუ-  
ლით დასთანხმდა; სელინას უთვალისენ პატივისცემის გამო  
ფილიპე მის წინაშე თავს ვალდებულიდ სთვლიდა, და მიუ-  
ხედავად ლილიბელის უხეირო ხასიათისა, გულში მაინც  
უყვარდა ბაეშეი. ამგვარად ტომარა ფილიპეს ნიკოსიათ  
საცილო ზანგის საკუთრებად გადაიქცა. იმან თავშე დაიღო  
და თვემომწონედ წაილო, თითქოს მტრისაგან წირთმეტული  
ნარაღილია.

ეტლების მოლოდინში დილით ჟვერანი დაცარიელებულ ოთახში ისხდნენ. ბ-ნი ეინსკორტი, სამგზავრო ტანისამოსი ში გამოწყობილი, აღელვებული დასკირნობდა; ქ-ნი ეინსკორტი დალლილი და მოწყენილი იჯდა; ფილიპე კი ეტყობოდა



თავის ახალ მშევრიერ ტანისამოსში თავს უხერხულად გრძნობდა და ისე მკეირცხლად და თავისუფლად აღარ გამოიყურებოდა, როგორც თავის უბრალო ძევლ მორთულობაში იყო. დეა აქვე იყო. მან უკანასკნელი დღე ბავშვთან გაატარა, და ისიც სადგურზე მიიპატიეს. გაფიტრებული მაგრამ დამშევიდებული ის ფილიპეს გვერდით იჯდა და დრო-გამოშვებით სიყვარულითა და მწუხარებით სავსე თვალით შეცყურებდა. უწვეულო ახალ ტანისამოსში ფილიპე მას სულ სხვა ვინზედ ეჩვენებოდა, ისე მახლობლად აღარ სთვლიდა, როგორც წინად მიაჩნდა, და ბავშვს უფრო თავაზიანად ექცეოდა. ფილიპეს სურდა რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა აქაურობას, რომ უკანასკნელი გამოთხვევების მიმე წუთი მაღე გასულიყო. მას სახე გამჭირებოდა და მღელვარება ეტკობოდა.

გამოჩნდა ეტლები. ცველიმ თავისუფლად ამოისუნთქა და სადგურზე წავიდნენ. იქ მოუთმენლად მათი მომლოდინე მსხვილი სელინა და ლილიბელი დაუხვდათ.

სელინას შავ კეთილ სახეს მღელვარება ეჩჩნეოდა და თავალები ასწითლებოდა. ფილიპეს საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილ ლილიბელს თავზე სქელი ქალალის დიდი კოლოფი მოჰქმნდა, ილიმებოდა და თვილებს აქეთ-იქით ატრიალებდა. დანახვისათანავე სელინამ ფილიპეს მიაშურა და ფართე გულში მაგრად ჩიკერა იგი მისი გალიით და მიმა ქოჩეფის „შეილებით“.

— ოჲ, ოჲ, მართლა მიდიხარ! — ტირილით ამბობდა სელინა. — ოჲ, ოჲ, ჩემო ბიჭიკო! იმედი მაქვს მე და დეა კიდევ ვეღირსებით შენს ნახვას!

— მე ჩქარა დავბრუნდები, სელინა! — მხნედ უპასუხა ფილიპემ: — რომ ჩქარა დავბრუნდები? — მან ეინსელიტებს შემკითხავი თვალით შეხედა; იმათ კი თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს.

— თუ მშეიღობა იქნა, ზამთრისათვის დავბრუნდებით.



— იპა, ჩემთ ბივშვო,— ამბობდა დაპირებით ჭარშეტყებული სელინა,— სიგნო ნამცხვარი გამოგიტყვე; ღილანს ირ წახდება. ვინ იცის—გექნება თუ არა ახალ ალიგას ნამცხვარი. ამ ტომარაში კი დაშაქრული ხილია.

— გმიდლობ, ჩემთ სელინა! — ამბობდა სელინას კეთილი გულით და მზრუნველობით გამხნევებული ფილიპე.

— ყველა ქს მებარგეს გადაეცი, ფილიპეს ბარგთან დასდოს, — უბრძანა სელინამ ლილიბელს. — თქვენც, ბატონო, თქვენის მეუღლით უარს ნუ მეტყველოთ: — მიირთეით ზაჟაპური.

ბ-ნმა და ქ-ნმა ეინსეკორტებმა სელინას მადლობა გადაუხადეს და ყოველივე კარგი უსურვეს; შემდეგ ალერსით გადაეხვივნენ დეის, გადაკუცნეს და უთხრეს:

— ნუ დაგვივიწყებ, საყვარელო; ფილიპე და ჩეენ ჩეარა დაგბრუნდებით.

დადგა უკანასკნელი წამი. მატარებელი მზად იყო წასასელელად. საჭირო იყო უკანასკნელი გამომშეიდობება. ფილიპემ ხელში დეის ხელი დაიკირა და უყელში მომდგარ ტრემლებით, აკან კალებული ტუჩებით გაულიმა. იმას ასლა ტირილი ირ შეეძლო. ტრემლები შემდეგ მოუვიდა.

— მატარებელში შესელის დროა. შენ, დეა, იქ გაჩერდი. აქედან უფრო კარგად შემეძლება შენი დანახვა და ჩემი წასელის დროს ნუ იტირებ. მე ჩეარა დაგბრუნდები, — ჩეარა და დაბეჯითებით იმბობდა ის. — მე უნდა დაგბრუნდე და მამა უოზეფის შვილები მოვიყვანო. ნახვამდის, დეა! — მან გოგონას იკოცა — ნახვამდის სელინა; ნახვამდის ლილიბელ.

ამ სიტყვების შემდეგ ის აღარ მობრუნებულია; გაფითრებული და ილელვებული მატარებელში შეხტა.

სელინამ თვალებზე ხელსახოცი მიიფარა და ქვითინი დაიწყო. დეამ სახეზე ხელები მიიფარა და ისე იღვა. ლილიბელი ქშინავდა და თვალებს სელინას წინსაფარის კუთხით



იწმენდდა. ფილიპეს ეს სურათი აღებეჭდა გულში მატარებლის წახელისას.

ის იყო მატარებელი თითქმის თვალს უნდა მისვარებოდა, რომ დეამ თავი მაღლა ასწია და ფილიპეს უკანასკნელ შემოხედვის მოპქრა თვალი; ის მატარებლის ფანჯარაში გადმოხრილიყო და ქარისაგან თბა-აწეწილი ილიმებოდა და თავს უწარედა. ერთი წუთიც და ბავშვის სახემ გამოუჩკვეველი შესხედაობა მიიღო.

იმგვარად ტუანეტას ფილიპე გაჰქრა დას თვალთაგან და ახალ, უწნობ გზას დაადგა.

## XV

### პატარა მემკვიდრე

ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე მშვენიერი სახლის ტურფა სასტუმრო ოთახში ორი ხანში შესული ქალი იჯდა. თვითეული იქნებოდა არა ნაკლებ სამოცუდა ათის წლისა, მაგრამ მდიდრული მორთულობის წყალობით ბევრად უფრო ახალგაზდა სჩინდნენ. ერთი მათგანი იყო მხატვრის დედა — ქნიერის სონი, მეორე — იმისი მეგობარი, დიდხანს საზღვარგარედ ყოფნის შემდეგ ახლახან დაბრუნებული.

ქნი ერისონრტი, ანუ როგორც ქახდნენ Madame ერისვორტი დიდხანს საფრანგეთში ცხოვრობდა, ლამაზი მოხუცებული ქალი იყო: მაღალი, მოხდენილი, ცოტა სასტიკი, მიუდგომელის სახის გამოშეტყველებით. ცისფერის ფოლადისებური თვალებით, რომლებიც თითქოს გულის სიღრმემდის ჰემირავდნენ ყველის ვისაც მოწყალებით არ უკეროდნენ. ქმრის სიკედილის შემდეგ ის დარჩი ახილგაზდა ქვრივად, დიდი ქონებითა და სამი ბავშვით. მისი საყვარელი უფროსი შვილი ფილიპე სამოქალაქო მშში ერთი პირებელ მოხალისეთაგანი იყო. ოცდახუთის წლის კაპიტანი თავისი რაზმით წავიდა, მაგრამ



ბრძოლის ველიდან აღარ დაბრუნებული. მეორე შვილი ედუ-  
არი—მხატვარი და მარიამ ქნი ვან-ნორკომი, ოფიცი  
დედა, მდიდარი ქვრივი იყო და ერთად ერთი ბავშვი ქალი  
ჰყვანდა დიდი ქონების მემკვიდრე.

მოხუცი ქალები აქარებულ ლაპარაკში იყვნენ გართულა-  
ნი. ისინი სკოლის ამხანაგები იყვნენ, დიდი ხანია ერთმანეთი  
არ ენახათ და მათი ლაპარაკი ერთი საგნიდან მეორეზე ჩქარ-  
ჩქარა გადადიდა: ძევლი მოგონება, ოჯახის ამბები და საყ-  
ველდეო საქმეები ერთმანეთში ირეოდა.

— მაშ მერი ნიცაში წავიდა და პატარა მემკვიდრე თქვენ-  
თან დასტოვა?—იკითხა სტუმარმა.

— დიახ, ამოოხვრით უპასუხა Madame ეინსერტმა. — სა-  
წყალი მერი სულ დასწეულდა. ექიმმა მოითხოვა—აუცილებ-  
ლიად უნდა წავიდესო, მაგრამ ლიუსილის გზაში მოგზაურობა  
და ჰერის გამოცვლა ვერ გაეძედეთ. წარმოიდგინე—რა პა-  
სუხსავები საქმე. ასეთი სუსტი ბავშვის აგრე შორს გაშვება!  
ვის რას ეტუვი, რომ გზაში რამე შეემთხვას?!

— თუ ოცდაერთ წლამდის ვერ იცოცხლა, ხომ ყევლა-  
ფერი რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულების საკუთრე-  
ბად უნდა გადავიდეს?—იკითხა სტუმარმა.

— დიახ, ასეთია ვან-ნორკომის უცნაური ანდერძი. რა-  
საკვირველია—შერისაც საკმაო ქონება დაუტოვა, მაგრამ ჩვენ  
მაინც არ გვინდა თანხა ეინშე სხვას ერგოს, მით უმეტეს,  
რომ ნაწილი ჩვენც გვერგება. თქვენ უკვე იცით, რომ ფი-  
ლიპეს სიკვდილის,—შემდეგ ამ სიტუაციით Madame ეინსერტმა  
ამოოხსრა და კედელზე აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილ  
იხილვაზრდა კაცის შუვენიერ სურათს შეხედა,—მისი წი-  
ლი ედუარდს და მერის გაუყავე. ჯონ ვან-ნორკომს და ფი-  
ლიპეს ძმებსავით უუფარდათ ერთმანეთი და მე დარწმუნებუ-  
ლი ვარ ფილიპე თავის ფულებს ჯონს სიამოვნებით მისცემდა.  
ჯონმაც ფულების სხვა-და-სხვა სისარგებლო საქმეში მოთვა-  
სებით დიდი ქონება შეიძინა და მა რკინის გზამ ხომ თრჯერ  
მეტად გაადიდა ეს ქონება.



— მე მითხრეს — ედუარდი ნამდვილ მხატვარივით ცხოვრობსო, — ამბობდა სტუმარი.

— დიხ, საჭყალი ედუარდი! — დედის ხმიში მწუხარების კილო გაისმა, — მას ფულის შოენა არას დროს არ შეეძლო, მაგრამ ხარჯეა კი მშვენიერად იკის. ლაურა ხომ ცოტა... როგორ ვსთქვა... ის შეჩერდა, თითქოს საჭირო სიტყვებს ეძებსო, — ძლიერ უყვარს ეს მაწანწალი ცხოვრება. იმისავან არ მიკვირს, მაგრამ ედუარდს ხილან დაჰყვა ეს ციგნის ხასიათი?

— სტულებით არ არის საჭირო რომ კაცი ამ თვისებით დაიბადოს, — შენიშნა მეგობარმა; — მისი შეთვისება იდეილურა. ალბად შვილის დაკარგვამ იმათზე დიდი გავლენა იქნია.

— შვილის დაკარგვამ იმათ გონებაზედაც იმოქმედა. ამა თუ შიხვდე — რა ჩაიდონეს, და ისიც ჩემ დაუკითხავად?

— ვერ წარმომიდგენია, რა ქნეს? — მოუთმენლად წინ წარმოიწიო და იკითხა სტუმარმა.

— იმათ, ჩემი ძეირებასო, ბავშვი იშვილეს, ისიც უგვარო, ობოლი ბავშვი, რომლის დედ-მამის ამბავი ირაფერი არ იყიან. როგორც მე გავიგე, უპრალო ქუჩის ბიქია: ედუარდმა თავის დახატული ბავშვის სურათი გამომიგზავნა, ფეხში შველა ყვიცილებს ჰყიდის.

— სად უპოვიათ?

— სადღაც იქ სამხრეთში, — ამოოხევით სთქვა მან. — ამან ჩემი ძეები ჭრილობები განმიახლა. წარმოიდგინეთ — ბავშვები თურმე ფილიპე პეტრელად მეგონა, რომ ისინი სახელმი გაიტაცა — ახლა კი ლაურა სულ მთლად შეშლილა იმ ბავშვზე: ირწმუნება, რომ ის ჩემს შვილის შვილს ჰგას, რომ ელიც ძალიან ჰგავდა ჩემ საბრალო ფილიპეს; რომ ის, საყვარელი, ლამაზი და ტურფაა, ერთის სიტყვით — უნაკლულოა. უეპველად აზვიადებს; შეუძლებელია ვიღაც უგვარო ბავშვი ფილიპეს ჰგავდეს!

— როგორ შეიძლება! — რწმენით დაადასტურა სტუმარმა.

— ყველაზედ უარესი ის არის, რომ ზამთრის გატარებას ჩემთან აპირებენ. ერთხელ ჩემი აქ არ ყოფნის დოოს იღვნებ აქ ისინი და ახლაც უარი ვერ უთხარი, მით უმეტეს, რომ აქ მართლაც ოთახები ყველასათვის საკმაოა. მაშინ დიდ ხანს იღვნებ აქ ასე, რომ ალბად ახლა ეს სახლი თავისი ჰერნიათ. შემოდგომა მოებზი გაუტარებით და იწერებიან,— თქვენი მოსვლის წინ ვკითხულობდი იმათ წერილს,— დალევე სალამოს ბავშვით თქვენთან ვიქნებითო. ლიუსილიც მთელი ზამთარი აქ რჩება. რა უნდა ვქნა? სრულებითაც არ მსურს, რომ მის ამხანაგად ვილაც უზღდელი ბავშვი იყოს. მერისაც არ ესიამონება. როგორც შესხვლო იქნება—ისე უნდა მოვიქცე. ლიუსილს არ მივიქარებ. მგონია ეს მოვახერხო. ლიუსილი სულითა და გულით დიდი კაცია და თავის წლოვანებასთან შედარებით საქმით წუნია. მერიმ მშენებირად იღზარდა; მისი გამდელი M-IIe ალბი გრაფის შეილის შეილია და ფაქიზი არ სებაა. ის კი არა მოახლეო—ღარიბი მღვდლის ობოლი—ნამდევრი დარბაისელი ქალია. პატარა მემკვიდრეს გარეშემორჩეული საზოგადოება ახვევია. ჩენ არ გვინდა რომ მის ახლოს უბრალო, გაუთლელი ხალხი იყოს. ის ისეთი ნიში უამგრძნობიარეა, რომ მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა საკირო.

— ნეტა ერთი შემახედვენა,—სთქვა მოკრძალებით სტუმარმა,— ალბად მთავრის პატარა ქალსა ჰვავს...

— ახლა სეირნობს. დაუცადეთ დაბრუნებამდის. ლირს მისი ნახვა.

ამ დროს ბჟყვრიალა ტანისამოსში გამოწყობილმა ზორბა ლაქიამ კარები გააღო და საუცხოო ჯგუფი გამოჩნდა. წინ მდიდრულ რუხი ხავერდის პილტრში, დიდრონი ფრთებით მორთული ქუდით და პრიალა ფეხსაცმელში გამოწყობილი რვა წლის გოგონა მოდიოდა. ტყავის ხელთათმანიან ხელში პატარა ხელის სათბუნებელი ეპირა, რომელზედაც ფართე ცისფერი ლენტით მინდვრის ზამბახის კონა იყო მი-

კრული. გოგონა გამწდარი, ტანადი და ცოტა ჭორფლიანი იყო; დიდი პირი ჰქონდა და ზევით აწეული ცხვირი, რომლის ზემოდან პატარ-პატარა ნათელი თვალები ბრწყინავდნენ. მხოლოდ თმა ჰქონდა მშვენიერი: მწიფე წაბლის ფერი, წითელ სპილენძის ფერ ტალღებსა და კულულებად ეფინებოდა ხავერდის პალტოზე. უკან შეი შძიეთ მორთულ შავს ძეირფას კაბაში გამოწყობილი ახოვანი ქალი მოჰყვებოდა. შემდეგ ლამაზი მოსამსახურე ქალი გამოჩნდა თეთრი წინსაფარით და მოახლის თავსახურით. ხელში ტყავების და შალების მთელი გროვა ეჭირა და ცის ფერი ლენტით ახალმოსულ თოვლივით



Madam ენსეკორტი შევება ქალს.

თეთრი ფუნთუშა ფინია მოჰყავდა. ძილს ზურგზე მდიდრულად ნაკერი გადასაფარებელი ეფარა და აბრეშუმის ბეჭვიან

კისერზე ბრილიანტებით შემკული ოქროს საყდრო უბრძაფი-  
ნავდა; ძალასაც ყბის ჭვეშ ლენტით შეკრული მინდერის  
ზამბახის კონა ეკიდა. საბრალო ცხოველი იძულებული იყო  
თავი მაღლა სკეროდა, რაიცა სასაცილო სერიოზულ შესახ-  
დაობას იძლევდა.

დაინახა პატარა ქალი თუ არა Madame ეინსვორტი, ადგა  
და დარბაისლური მიხერა-მოხერათ მისკენ გეშურა. გევონე-  
ბოდათ — შეჩოლდაც პატარა მთაერთის გამოლის სასერწოდათ,  
ისე დიდყაცურად იყო მოწყობილი ეს შეხვედრა..

— ეგრე ჩქარა რისთვის დაბრუნდი, ჩემო ძვირფასო? —  
ჰეთხ მოხუცმა ქალმა და ბავშვს ხელი მოკერდა. — სეირნობა  
არ მოგეწონა? ან შეიძლება ფინია ცუდად იქცეოდა? იმედი  
მაქვს Mademoiselle-ზა და ელენემ თბილად გამოგაწყვეს?

ამ კითხვებით ისინი ოთახში შევიდნენ:—ეს ჩემი ძველი  
მეგობარია,—შენს ოთახში წასელამდის ხომ არ ისურვებ იმათ-  
თან იბასო?

პატარა ქალმა ციფად გაიღიმა და სტუმარს ხელი გაუწოდა.

— ძლიერ სხივამოვნოა ოქვენი ნახევა, — სთქვა მან სუფთა,  
წერიალია ხშირი: — ბებიას არა ერთხელ ულაპარაკება ჩემთან  
ოქვენს შესახებ. ხომ დიდი ხანი არ არის, რაც საზღვარ გა-  
რეთიდან დაბრუნდით?

— სანამ Mademoiselle ინტეპს თავის ლთამში წისკლას აქ  
დაურჩი? — იკითხა ლომიზრდელმა.

— პატარი ქალბატონს ნებავს ბეწვია აქ დავტოვო? — იკითხა მოახლეობა.



შემდეგ ისევ დიდი ქალიცით ქვეიანი და ამაყი სახით  
საამდღეო ახალ-ახალ ამბებზე დაუწყო სტუმარს ლაპარაკი.


როდესაც ბავშვმა გადასწუყიტა, რომ სიქშოდ შეასრულა  
ბების: მეგობრის წინაშე თავისი მოვალეობა, იდგა, თავაზია-  
ნად გამოეთხოვა და თავმოწმონედ გავიდა ოთახიდან.


ორივე ქალი ალტაცებით თვალს ადევნებდა, და როდე-  
საც ბავშვი ოთახიდან გაეღია, Madame ეინსვორტმა! სთქა:  
— ხომ მართალი გითხარით?

— საუცხოოა, განსაცეიფრებელია! — გრძნობით წარმო-  
სთქა მეგობარმა. — რა ქვეიანი, ნარნარი და საყვარელია!  
როგორ გაიტაცებს ყველას, როცა გაიზრდება!

დათვეთ ანთაძე

(შემდეგი იქნება)





## ბჟელი მთავრობა და

## რევოლუცია

(დასასრული \*)



ინა წერლებში მოკლედ აღვნიშნე ის პირობები, რომლებიც ჰქმნიდნენ ძევლი მთავრობის სიძლიერეს, და იმავე დროს ძირს უთხრიდნენ მთბატონობას. და აյი დამსხვრია კიდეც აჯანყებულმა ხალხმა ოვითმშემცირობელობის ციხე-სახელმწიფო. ახლი ჩევნ ამ ნანგრევებზე ედგევართ და კემხადებით ახალი ცხოვრების შესაქმნელად, ახალი სახელმწიფოს ასაშენებლად. როგორი უნდა იყვეს ეს ახალი სახელმწიფო? ამ კითხვის გარკვევაზე შევწერდები. რევოლუციის პირველ დღიდანეც შეიქმნა ეგრედ წოდებული დროებითი მთავრობა, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ცხოვრების ხელმძღვანელობა, ვიდრე შეიქმნებოდა მთავრობა მუდმივი, ვიდრე შემუშავდებოდა და დამტკიცდებოდა ახალი წესი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

ყოველ სიტყვის, ყოველ საქმეს, რომელსაც ეს დროებითი მთავრობა მოიქმედებს, აქეს დროებითი მნიშვნელობა; გადამწყვეტი სიტყვა კი დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის. რა

\* იბლე ანაკალულის მე-5 ს.



არის ეს დამფუძნებელი კრება? იგი არის ისეთი რამ ყრილობა, სადაც მთელი რუსეთის ხალხის წარმომადგენლები შეიმუშავებენ ახალ კანონებს. ყოველი წარმომადგენლის აჩევნებში ყველა სრულ-წლოვანი მოქალაქე უნდა იღებდეს მთაწილეობას, რომ წარმომადგენელს უფლება ჰქონდეს ხალხის მაგიერ ილაპარაკოს. ამის დემოკრატიული არჩევნები ეწოდება, რადგან იგი ხილველთაორ. ეს დემოკრატიული არჩევნები ახალი რამ არის. ძეელმა მთავრობამ იგი არ იცოდა. რასაც ბრძანებულება სასახლეში, ის უნდა ისრულებულიყო. ახლა კი ის ასრულდება, რასაც თვით ხალხი სცნობს ხაჯიროდ და სასარგებლოდ.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალი ცხოვრებათ, ყველა თითქმის ერთ პასუხს იძლევა: უნდა იყოს დემოკრატიული რესპუბლიკოს. სიტყვა რეს—ნიშნავს საგანს, საქმეს; პუბლიკა—ხალხს. რესპუბლიკა—ესე იგი ხალხის, საგანი, ხალხის საქმე, როდესაც თვით ხალხი განავებს თავის საქმეებს, რასაკეირველია, თავისი ამორჩეული წარმომადგენლების საშუალებით.

არის მეორე მხარეც, რომლის გარშემო ატებილია დიდი დავა, და რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე დამოკიდებულია „დიდი რუსეთის“ ყოფნის და არ ყოფნის საკითხი. უნდა იყოს ახალი სახელმწიფო—ცენტრალისტური, ანუ შემადგენელ ნაწილთა თავისუფლების აღმსაჩებელი და მით უმეტეს, ამ კითხვას რუსეთში იქ्स ფრიდა დიდი მნიშვნელობა. რატომ? იმიტომ რომ რუსეთი წარმოადგენს სხვა-და-სხვა ერთი კრებულს. მხოლოდ რუსებისაგან რომ შესდგებოდეს რუსეთის სახელმწიფო, მაშინ, რასაკეირველია, ამდენი დავა აღარ იქნებოდა; მაგრამ რადგან რუსეთში ბევრი ერთ სცხოვრობს და ყველას უნდა თავისუფლობი არსებობა, ამიტომც არის, რომ ამ საკითხს ასე ფიცხად ეკიდებიან. ჩეენ ვიცით, თუ როგორ გკიდებოდა ძეელი მთავრობა არა-რუსებს. ვიცით, რომ არა-რუსები იდევ-

ნებოდნენ ყველგან; მათი ენა ყველგან დაგმობილი იყო; სისწიველების, დაწესებულებებში, ეკლესიებში, და სადაც კი შესაძლო იყო, ყველგან გააბატონეს რუსული ენა, და ასე სცდილობდნენ ყველა სხვა ერის გათქვეფას, ანუ გარუსებას. ძეველი მთავრობა არა-რუსთა შორის ასახლებდა რუსებს, რომ ასე ნელ-ნელა დაერღვეი ამა თუ იმ ერის მთლიანობა. ასე იყო შევიწროებული ფინლანდია, პოლონეთი, უკრაინა, საქართველო, ესტლიანდია, ლიტვა, ებრაელობა, სომხობა და სხვ. მაგრამ ძეველი მთავრობა ვერ იღწევდა საწადელს. ყველა დასიგრული ერი აწარმოებდა ჩუმ მუშაობას, ყველა ფარულად ემზადებოდა, რომ როდისმე დაემტვრია მონობის ბორკილები და განთავისუფლებულიყო ბატონებისაგან. და გაისმა თუ არა პირველი ხმა თავისუფლებისა, ყველას იღტაცება დაეტყო, ყველამ თავისუფლად და სიამოთ ამოისუნთქა, თავისუფალ ცხოვრების მოლოდინში; და, რასაკირველია, ყველაზე მეტად არა-რუსები გაიხირებდნენ, რადგან რუსებზე მეტად ისინი იყვნენ დაწაგრულნი.

როცა აღიძრა საკითხი თავისუფლების განმტკიცების შესახებ, ყველა ამ ერმა აღიმსალდა ხმა და შოთხოვა ისეთი წყობილების დამყარება, რომელიც მათ თავისუფალ ცხოვრების რაც შეიძლება უზრუნველ ჰყოფდა, მოითხოვა სწორუფლებიანობის განხორციელება, რისთვისაც იბრძოდნენ ყველანი.

ეს ესეც უნდა მოხდეს, თუ ძეველს ახილს უპიროისპირებ. უნდა მოისპოს ის უფლებრივი სხვა-და-სხვობა, რომელიც აქამდე არსებობდა, და რომელიც ზოგს სდევნიდა და ზოგს კი ყოველ-მხრივ ხელს უწყობდა. შეეხება ეს პირვენებას თუ ერს, სულ ერთია. დღეს ყველას თანასწორობა გამოცხადებული, და მაშინადამე იგი ერებსაც შეეხება.

ძეველი მართველობა და სახელმწიფოებრივი ნაშენობა იყო ეგრედ წოდებულ ცენტრალისტური. ეს იგი—სახელმწიფო საქმეებს განაგებდნენ ერთ ადგილიდან. ეს აუცილე-

ბელი იყო ძელი მთავრობისთვის, რომელიც სულ იმის ცდა-  
ში იყო, თუ როგორ გაედიდებინა სამეფოს საზღვრები, რო-  
გორ განემტკიცებინა რუსული სული, რომ საფრთხე რამ არ  
დამართოდა და სხვ. ამის კი საუკეთესოდ ცენტრალისტურად  
მოწყობილ სახელმწიფოში ჩაიდგნდა, სადაც რეინის სალტე-  
ბით იქნებოდა შემოქერილი არა-სანდო ხალხთა ცხოვრება,  
და ძელთა აზრით, ამ პირობებში შიშიც ნაელები იქნებოდა.  
ჩვენი აზრით კი, არ შეაძლება შიშით დამორჩილება. მხო-  
ლოდ თავისუფალი და შეგნებული მოქმედება, თი რისკენ  
მიენისტრალევით. გონიერებაცა და სამართლიანობაც ამის მით-  
ხოვს. და თუ ეროვნულ საკითხსაც ამ თვალით შევხედიავთ,  
მაშინ ძელი მთავრობის გზა სასტიკად უნდა დავვგმოთ. თუ  
იგი სდევნიდა ერებს, ჩვენ უნდა ყველას გზა გავუსწიათ საარ-  
სებოდ. თუ ძელად ერებს არ შეეძლოთ სურვილისაშებრ  
თავიანთი ცხოვრების მოწესრიგება, ჩვენ ყველას ეს უფლება  
უნდა მიენიჭოთ და ძელი მთავრობის მიერ ძლით და შიშით  
შეკავშირებას — ნება-ყოფლობითი და გონიერი კეშირი უნდა  
დაუპირისპიროთ, კავშირი თავისუფალ და სწორ-უფლებიან  
ერებისა. მაგრამ ვიდრე ეს კავშირი შეიქნებოდეს, ჯერ  
ერები უნდა გამოცხადდნ თავისუფლად და სწორ-უფლებია-  
ნებად. რა არის ამისთვის საჭირო? საჭიროა, რომ ყველა ერს  
მიენიჭოს რუსეთში ის უფლებები, რა უფლებებითაც არის  
აღმურვილი თვით რუსის ერი. ესე იგი საჭიროა შეზღუდვა  
იმ უფლებების, რა უფლებებიც ხელთ უპყრია რუსის ერს.  
დღესაც ამა თუ იმ ერის საკითხი სწყდება რუსეთში, რუსე-  
ბის მიერ. ეს არ არის წესიერი მოვლენა. წესიერი მოვლენა  
მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ამა თუ იმ საკითხს გადას-  
წყვეტს თვით ის ერი, რომელსაც შეეხება იგი. მაგალითად  
სწავლა, სახამირთლო, გზები, მართველობა და სხვ. ყველა  
ეს, რაც მხოლოდ ამა თუ იმ ერს შეეხება, არ უნდა წყდე-  
ბოდეს რუსეთში. ყველა ამ საჭმის წარმოების უფლება უნდა  
თვით ერებს მიეცეთ. ხოლო რაც შეეხება ყველა ერის სა-

ერთო საქმეს, ეს გადაწყვდება უველა ერთის კავშირის ჩეირ, მხოლოდ ისე, რომ ყოველი ერთი, დიდი იქნება იგი თუ მცირე, თანასწორად მიღებს მონაწილეობას საკითხის გადაჭრაში. ეს იქნება ნამდვილი სამართლიანობა. სახელმწიფოს, ქვეყნის ხილიდე როდი დიდია საგულისმო. უველა იმის თვისება სჯობია, და ვინ იტყვის, რომ ერთის თვისება მისი სიღილით და რაოდენობით განისაზღვრება? არავინ. და პატარა ერთი რომ უკან ჩამოვაყენოთ იმ მოსახრებით, რომ ის პატარაა, ეს არ იქნება სამართლიანი, რადგან შესაძლოა, რომ პატარა სჯობდეს დიდს. და რომ ეს გაუვევბრობა არ მოხდეს, და თანაც რომ არ შეილახოს თანასწორობა, უველა ერთი თანაბაზ წარმოშალებრების სახით უნდა იღებდეს მონაწილეობას საერთო საქმეების მოწესრიგებაში. ეს საერთო საქმეებია—ომი, ზევი, ფული, წონა და სხვ...

ნალიპარაკევილან გამოირკვა შემდეგი: უველა ერთი უნდა იყოს თავისუფალი თავის შინაურ ცხოვრებაში, რომ ის საქმეები, რომელიც მხოლოდ მას შეეხება, მის მიერვე სწყდებოდეს, სხვისგან დამოუკიდებლად. ამის ჰქვია თვითმმართველობა, ანუ ბერძნული თქმით—ავტონომია. ამასთანავე უველა ერთი უნდა იყოს შეკავშირებული, რადგან ერებისაგან განცალკევებით არსებობა მნელიც არის და არც თუ სასურველია. კავშირი უნდა იყოს თავისუფალი და თანასწორი. მა კავშირს ეწოდება ფედერაცია. და იმ სახელმწიფოს კი, სადაც ასე მოწესრიგდება ერთა ცხოვრება, ჰქვია ფედერაციულდემოკრატიული რესპუბლიკა. ამის წინააღმდეგი მოელენა არის ცენტრალისტურ-დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც ეროვნული საკითხი გაუთვალისწინებელი რჩება.


არც ერთი გონიერი და თავმოყვარე ერთი არ დასთანხმდება, რომ მის საქმეებში სხვა აფათურებდეს ხელს. აյი თვით რუსეთის მთავრობა მოუწოდებს ხილს შეიარაღებისაკენ, რომ გერმანელების ხელი აიყინონ. და თუ გერმანიის ხელია ცუდია, არც სხვის ხელის ფათურია მოსაწონი. და თუ რუსე-


თი შეეცდება დაიცვას თავისუფლება, რატომ ეს თავისუფლება უნდა იყრიძოლოთ რუსეთში მოსახლე ერებს? თანაც ეს ერები მოწყვილებას კი არ თხოულობენ, ისინი თავიანთ სამართლიან უფლებათა ცნობას და განხორციელებას ავალებენ იმ ერს, რომელსაც ნებით თუ ძალით ხელში ეპყრა სხვათა ცხოვრების სადაცვები.

რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, იგიც იმედიანად შესცემის მომავალს და სჯერა, რომ დამუუჩნებელი კრება აუსრულებს დიდი ხნის საწადელს და გაანთავისუფლებს იხალ ცხოვრების შესაქმნელად. არა-და—კვლავ იცოცხლებს თქმულება ამირანის შესახებ, რომელიც კავკასიონზე მიეჯაჭვათ, უვავ-ყორანთა დასაფლეთად. ამ თქმულებას კვლავ გარს შემოვლება ქართველი ერის იმედიც, რომელიც დიდი ხანია კვნესით ლილინებს:

მოგა დრო და თავს აიშვებს,  
მმ ჯაჭვს დასწევის გმირთა გმირი,  
სიხარულად შემცველება  
ამდღნი ხნის გასაჭირო-ო.

ვ. კოტეტიშვილი.





## როგორ გავზარდოთ კეცენტრული კოდი\*)



ებოსტნისა და მებალისათვის ყველაზე უფრო სა-  
სიამოენო მისი შრომის ჯილდო—არაჩეცულებრი-  
ვად დიდი ნაყოფია. თუ გსურთ ვეცენტრული კვაბით  
მეურნეები გააკვიროთ, გთხოვთ შემდეგი ჩემი რჩევა აასრუ-  
ლოთ.

კვაბი თესლით მოჰყავთ. წიგნებში სწერია— უმჯობესია  
კვაბის თითო მარცვალი (თეთრი კვაბის) თესლი პატარა ქოთ-  
ნებში ჩათვალით აპრილის დამდეგსთ. (ჩენში უფრო აღრე  
შეიძლება).

კვაბის გასახრდელად საჭიროა სითბო. კვლებში მისი  
გადარგვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ყინვის შიში  
აღარ იქნება ე. ი.—დაახლოებით აპრილის მოლო რიცხვებში.  
სასურველია, რომ კვალი ნოყიერი ნიადაგისივენ შესდგებო-  
დეს და მწის გულზე იყოს.

როგორც კი ათბება, გადარგული მცენარეები სწრაფად  
იწყებენ ზრდას და მალე ყვავილიც უჩიდება. როცა ნაყოფი  
გაუჩინდება, მშრალ ამინდებში საჭიროა კვალი უხვად მორწ-

\*) კვაბი ანუ ჩაპი.

ყოთ და აგრეთვე კველაფერი მოაშოროთ, რაც მცენარის თავისუფალ ზრდას ხელს შეუშლის.

ରୋପା ନେୟନ୍ତୁ ଦୂରାଶ୍ଲମ୍ଭଣ୍ଡିତ ମେଘିଳ କୁଳା ଗୀତର୍ଥୟା, ଶୈଶ୍ଵର୍ଯ୍ୟଲାଭ ଶୁଣିବ ଅମ୍ବାର୍ଥିନିତ ହରିତ ଏବଂ ରାମଦ୍ଵାରିମ୍ଭେ ମାତ୍ରାବନ୍ଦି ପ୍ରସ୍ତରାଶ୍ଚ ଶୁଭ୍ରାତା ଶାଲା. ତ୍ରୈ ଗୁରୁତର ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ ଗୋଦାଶରିଦ୍ଧନ୍ତି, ତାତାର ଦିନିଲ୍ ଏବଂ ପ୍ରାଚୀନ ମେଘିଳ ଏହି ଶୁଣିବ ଅନ୍ତର୍ଭାବିନିତ, ଦ୍ଵାନାର୍ଥିନ୍ଦ୍ରିଯଙ୍କ ଶୁଣିବ ମାତ୍ରାଶାଲା.

შემდეგ საქართვის შექმნაზე წყალი შეამზნდოთ. ეს ადვილი საქმეა. უნდა გააცხელოთ წყალი იმდენიდ, რომ შეგ შექარი მალე გატნეს. შექარი იმდენი უნდა ჩატყოროთ, რომ წყალი შესქელდეს. შექარ-ნარევი წყალი აჩ უნდა დადულოთ, თორემ შირბათი გამოვა.

როცა შეატყობით, რომ წყალი კარგად გასჭელდა, შეა-  
დგე უნდა გააცილოთ. ახლა უნდა იშვიათ მრგვალი პატრიუქი,  
ლამის პატარა სანათებს რომ უკეთებენ, ან მსხვილი დავრე-  
ხილი ბამბის ძაფი. დაშაქრულ წყალს რამდენიმე პატარა  
კურქელში ჩასხიმოთ და საცდელ კვახს გარშემო შემოუდ-  
გამო.

თუ კარგი მინდი დაუდევა, კვახი საოცარი სისწრაფით  
იწყებს ზრდას და პატრუქის შემწეობით მთლად ჩანთქიეს და-  
შაქროვლა წყალს.


სასარგებლობა ხანდახან დაშაქრულ წყალს მოუტით და, რასაცირკელია თვალს უნდა ადეკვატური, რომ პატრუქის ბოლოო ყოველთვის წყალში იყოს.

3. d.



ჩე-5 №-ში მოთავსებულ გამოცანისა და რებუსის ახსნა.

- 1) თვალი, ვალი, ილი.
  - 2) თამარ მეუე ღმერთს უყვარდა:  
ციდან ჩამოესმა რეკა.  
იალბუზე ფეხი შედგა,  
დაბლა მთებმა იწყეს დრეკა!



# მისამართის ცენტრ 1917 წლის აგვისტო

დაქურათებული საყმაწევლო ეურნალი

გრაფიკული  
განვითარების

## წელიწადი შეცამეთი. "ნაკადული" წელიწადი შეცამეთი.

მურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, სავანგი-  
ბოლ მოწვევულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუალედი გამოდის თვეში იუნი

**24 წიგნი „ნაკადულისა“** 12 წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

უკველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გა-  
მოწენილ მხატვართა ნახატი.

ფასი გურიალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან.—იმათ.  
თვის, ეინც ეურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კუ 6 მან.-  
ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე:  
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ.  
მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ.  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთოვთ ხელის მომწერლებს, თუ გურნალი „ნაკადული“ არ  
მისდით, ერთი თვის განმეობაში გვაცნობონ და აღრესის გამო-  
ცვლა დროზე შეგვატყობინონ. აღრესის გამოსაცვლელად—40 კ.  
შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

### ხელის მოწვევა მიღება

თბილისში — „ნაკადული“ რედაქციაში, ზებალაშვილის სახლი,  
ვოლოვინის პრის. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8.  
შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამეორებუ-  
ლებულ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთახე-  
ში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხესიშვილთან და თ. მთავრი-  
შეილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძესთან. ბათოში—ტრი-  
ფოშ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის  
გამგეობაში. თელავში—ვანო ჭავარეშვილთან. ახალციხეში—კონს-  
ტანტინე გვარაშვიძესთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან. გორ-  
გი—ქეთევან ჯავახიშვილთან ჭრინო ლომიურითან. ჭიათურაში—ივ.  
გომელაშვილთან. ხონში—მ. ი. ქავეჭანიძესთან. მიხაილოვში—გ-  
ორგი ნაკაშიძესთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთ-  
ში მასწავლებელ ჯულელთან.

რედაქტორი ნინო ნაეაშიძე

გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.